პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 9 ოქტომბერი № 232 (17875) ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

ყრილობისწინა შრომითი მაჯისცემა

ბიბლიოთეკა

საძმეს გამოაჩინა

გურჯაანში დიდი რთველი ჯერ არ დამთავრებულა, მეზვრეებმა კი ვალდებულება უკვე შეასრულეს და ახლა ქარვისფერ მტევნებს ვალდებულების გადამეტებით კრეფენ. ჩუმლაყელი ბრიგადირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გიგი კენკოშვილი ის კაცია, ვინც ქართული ვაზის მოვლა-პატრონობითა და ყურძნის უხვი მოსავლით გაითქვა სახელი. მისი ბრიგადა არა მარტო სოფელში, არამედ მთელ რაიონსა და საქართველოშია ცნობილი.

სურათზე: გ. კენკოშვილი.

ვ. გენგიურის ფოტო.

„კომუნისტის" ინტერვიუ

ხარისხისათვის ბრძოლა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაა

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხისადმი მიძღვნილი მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხისადმი მიძღვნილი მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც, ამ დღეებში გაიმართა და რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ცხოვრებაში.

კონფერენციამ შეაჯამა პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების იმ საქმიანობის შედეგები, რომელიც ითვალისწინებდა მეათე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებას — იმის მიღწევას, რომ მეათე ხუთწლედი უწინარეს ყოვლისა გამხდარიყო ხარისხის ხუთწლედი, ეფექტიანობის ხუთწლედი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა მაყოფილებით აღნიშნეს, რომ 1977 წლის ნოემბერში გამართულმა პირველმა ასეთმა კონფერენციამ თვალსაჩინო როლი შეასრულა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი საამოცანეებს გადაწყვეტაში და მას დიდი რეზონანსი მოჰყვა.

ამასთან კონფერენციამ განსაზღვრა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლების ამოცანები.

კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში „პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციების შესრულების შედეგებისა და სახალხო მეურნეობის დარგებში წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა აღნიშნა, რომ მთავრდება მეათე ხუთწლედი, რომ მანძილზე საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია ისწრაფვოდა მიზანმიმართული მუშაობა გაეწია სკკპ XXV ყრილობის ძირითადი მოთხოვნის შესასრულებლად — აემაღლებინა მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი. ყველა პარტიული ორგანიზაციის, საწარმოების, გაერთიანებების, სამინისტროებისა და უწყებების კოლექტივების საქმიანობა მიზნად ისახავდა არა მარტო ერთი-ორი მაჩვენებლის, როგორც ეს წინათ იყო, არამედ ამ მაჩვენებლების მთელი კომპლექსის შესრულებას, რომლის მიზიდვით ფასდება ჩვენი საქმიანობა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას. ეს მუშაობა წლითიწლობით იხვეწებოდა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლის შესრულებისათვის. მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის შედეგების მიხედვით შესრულდა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ხარისხის გაუმჯობესების, უმნიშვნელოვანესი საწარმოო ობიექტების, საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის, ტვირთზიდვის საგეგმო დავალებანი, დღეღიადაგ მტკიცდება დისციპლინა, მცირდება ტრავმატიზმი და ა. შ.

პირველი კონფერენციის შემდეგ თითქმის სამი წელი გავიდა. და უკვე დრო, შევჯამოთ გაწეული მუშაობის შედეგები, განვსაზღვროთ, რას მივაღწიეთ, რას ვერ მივაღწიეთ, — თქვა ამხ. კოლბინმა. კარგი უნდა განვავითაროთ, ხარვეზები გამოვასწოროთ, შევიმუშაოთ მოქმედების პროგრამა მეთერთმეტე ხუთწლედისთვის.

(დასასრული მე-8 გვ.).

კვლევის პროგრამა მთავრდება

ფრენის მართვის ცენტრი, 8 ოქტომბერი, (საკდესი). ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი უკვე 182 დღე-ღამეა მუშაობენ დედამიწისირგვლივ ორბიტაზე.

ფრენის პროგრამის შესაბამისად, ეკიპაჟი ამთავრებს დაგეგმილ კვლევას და ექსპერიმენტებს „სალუტ-6" სამეცნიერო სადგურში და ამზადებს მას ავტომატური რეჟიმის ფრენისათვის. კოსმონავტები სადგურის საბორტო სისტემების ცალკეულ ბლოკებს ცვლიან „პროგრეს-11" ხომალდით მიტანილი ბლოკებით, ხოლო მოწყობილობა, რომელმაც რესურსი გამოიმუშავა, გადაავლეთ ავტომატური სატრანსპორტო ხომალდის სატვირთო განყოფილებაში.

სამედიცინო შემოწმების პროგრამის შესაბამისად, კოსმონავტებმა ერთმანეთს აუღეს სისხლი დედამიწაზე ლაბორატორიული ანალიზისათვის. დღის განმავლობაში ეკიპაჟი ფიზიკურად იარჯიშებს აგრეთვე კომპლექსურ ტრენაჟერზე, სისტემაში მოიყვანს ჩატარებული კვლევისა და ექსპერიმენტის შედეგებს.

საღამოსათვის დაგეგმილია ორბიტული კომპლექსის მომრაობის ტრაექტორიის კორექცია, რომლის დროსაც გამოიყენებენ „პროგრეს-11" სატვირთო ხომალდის ძრავას.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებების თანახმად, „სალუტ-6"-„სოიუზ-37"-„პროგრეს-11" სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

კოსმონავტები ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

გურჯაანელთა ოქროს შემოდგომა

მარანშია 150.636 ტონა ყურძენი!

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ბ. შინჯიაშვილი

გურჯაანის რაიონის სახელგანთქმულმა მევენახეებმა ქვეყნისა და პარტიისათვის მიცემული სატყვა საბჭოთა კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად შეასრულეს — სახელმწიფო მარანში 150.636 ტონა ყურძენი მიიტანეს. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა დ. გერგიშვილმა საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველ მდივანს ბ. ი. შინჯიაშვილს სთხოვა მოეთხრო, თუ როგორ მიაღწიეს რაიონის მევენახეებმა ამ დიდ წარმატებას. აი რა თქვა მან:

— ოქროს შემოდგომა გვაქვს გურჯაანელებს, სიუხვითა და სიკეთით სავსე შემოდგომა, რომელმაც ჩვენს მევენახეებს რეკორდული, 150-ათასტონიანი მიჯნა გადაალახვინა. და ეს მაშინ, როცა შესაბამისად გაიზარდა ყურძნის ხარისხიც, საშუალო შაქრიანობამ 19,4 პროცენტს გადაჭარბა.

მარტო საზოგადოებრივ სექტორში წელს 100 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მივიღეთ, ეს შარშანდელ მოსავალს 40 ათასი ტონით სჭარბობს. შარშანდელთან შედარებით წელს 12 ათასი ტონით მეტი ყურძენი მივიღეთ კერძო სექტორიდანაც.

რთველის დროს ჩვენ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყურძნის კრეფის ხარისხზე ვამახვილებდით ყურადღებას, რადგან ვიცოდით, რომ 2 კილოგრამიც რომ დაგვრჩენოდა თითოეულ მწკრივში, სულ ცოტა 10 ათას ტონა ყურძენს ვკარგავდით. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით აგრეთვე რთველის შემჭიდროებულ ვადებში წარმართვას—ესეც ყურძნის უხვი მოსავლის მიღების ერთ-ერთი პირობა იყო.

საზოგადოებრივ სექტორში რეკორდული მოსავალი მიიღეს კოლაგის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ბეჭუაშვილი). მათ ყურძნის მიღების საგეგმო დავალება 168,7 პროცენტით განაღდეს. ვეჯინის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ლაშქარაშვილი) 354 ჰექტარ ვენახში 3.530 ტონის ნაცვლად 5.840 ტონა ყურძენი დაკრიფეს. საშუალოდ მოსავლიანობა ჰექტარზე 156 ცენტნერი იყო.

ბარაჭიანი მოსავალი ჰქონდათ კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ბ. უტიაშვილი).

კარგი შედეგებით ამთავრებენ წლევანდელ რთველს სოფელ შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი გ. მოსამღვდლიშვილი) მშრომელები, ველისციხის, ნუმლაყის, ჭანდრის, ვაზისუბნის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები — თ. მესხი, ვ. უტიაშვილი, ო. ჯოხაძე, რ. მღებრიშვილი).

წინასწარი მონაცემებით, რაიონს მარტო ყურძენმა 18 მილიონი მანეთი შემოსავალი უნდა მისცეს; ყურძნის წარმოების რენტაბელობა 60-70 პროცენტით გაიზრდება. თავისი არსებობის მანძილზე რაიონი სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციით პირველად გასცდება 72-73 მილიონ მანეთს.

ჰ. ასადი—მოსკოვში



სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 8 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი, რომელიც სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მეთაურობს.

აეროდრომზე ჰ. ასადს, დელეგაციის წევრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ეკ. ა. შევარდნაძის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

ქალბატონებო და ბატონებო, ამხანაგებო!

მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა საქართველოს რესპუბლიკის ხალხისა და ხელმძღვანელობის სახელით გულითადად მივესალმოთ დღეს ჩვენს მოწვეულ-წყალზე საპატიო სტუმარს— ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ რედის, მის მეუღლეს, დიდი ინდოელი ხალხის ყველა წარმომადგენელს.

თქვენი ვიზიტი, პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი და მეტად ნაყოფიერი განვითარებისა და განმტკიცების გზაზე.

ჩვენი ქვეყნები — სსრ კავშირი და ინდოეთი — მტკიცედ იღგნიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ომის საფრთხის წინააღმდეგ, აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისათვის, მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის. და ეს ჩვენი ურყევი მეგობრობის საფუძველია.

თავიდან ავაცილოთ კაცობრიობას ომის საფრთხე, თანამიმდევრულად განვახორციელოთ მშვიდობის, დაძაბულობის შენელების, გამალებული შეიარაღების ალაგმვის პოლიტიკა — ასეთი მისწრაფებებითა და ფიქრებით არის გამსჭვალული ქვეყნად ყველა კეთილი ნების ადამიანი, და, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სტუმარი რომ ვთქვათ, ვხარობთ, რომ, ვისწრაფვით რა ამ მიზნების მიღწევას, ვართ ინდოეთთან ერთად, რომლის საგარეო პოლიტიკა გამოირჩევა მშვიდობისმოყვარეობით, საღი აზრითა და რეალიზმით.

თქვენი ვიზიტის მანძილზე, ჩვენს ქვეყნაში მოგზაურობის დროს თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, შესაძლებლობა გქონდათ გასცნობოდით საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და შრომას, კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყავით, რომ ისინი მშვიდობას ესწრაფვიან, რომ საბჭოთა ხალხი გულწრფელი მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული ინდოელი ხალხის მიმართ.

როგორც თქვენ სწორად შენიშნეთ, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ტრადიციულმა მეგობრობამ, ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობამ არა მარტო ახალი ელემენტებით გაამდიდრა ჩვენი ორმხრივი ურთიერთობა, არამედ ხელს უწყობს კიდეც მშვიდობასა და სტაბილურობას აზიასა და მთელ მსოფლიოში. ღრმად ვართ დარწმუნებული, მტკიცედ გვწამს, რომ ეს მეგობრობა და ეს თანამშრომლობა სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს საერთაშორისო ასპარეზზე.

სულითა და გულით გვინდა მოგილოცოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, საპატიო მისიის, მშვიდობისა და მეგობრობის მისიის წარმატებით დამთავრება. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან თქვენი ნაყოფიერი მოლაპარაკება, რომელმაც დიდი რეზონანსი შეიძინა მთელ მსოფლიოში, ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის უკეთეს ურთიერთგაგებას, მათი ძალების კონსოლიდაციას მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის ბრძოლაში.

რაკი ჩვენს ქვეყანაში თქვენი ოფიციალური მეგობრული ვიზიტი საბჭოთა საქართველოში მთავრდება, ნება მიბოძეთ, ვიმედოვნებდე, რომ თან გაგაყვებათ სასიამოვნო შთაბეჭდილებანი როგორც მთელი ჩვენი ქვეყნიდან, ისე ჩვენი რესპუბლიკიდანაც, რომელსაც ბევრი რამ აკავშირებს შორეულ, მაგრამ ჩვენთვის უკვე დიდხანია ახლობელ ინდოეთთან.

გთხოვთ, პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, მთელ მეგობარ ინდოელ ხალხს, ქალბატონ ინდირა განდის გადასცეთ ჩვენი ღრმა პატივისცემისა და დიდი სიმპათიის ყველაზე გულწრფელი გრძნობები. უსურვოთ ახალი სასახელო წარმატებები, აგრეთვე უთხრათ, რომ საბჭოთა ადამიანების სახით ინდოელ ხალხს ჰყავს ერთგული და საიმედო მეგობრები, რომელთა იმედი მუდამ შეიძლება იქონიოთ და რომლებიც არასოდეს არ გიმტყუნებენ.

გარწმუნებთ, რომ საბჭოთა ადამიანებს მუდამ უნდათ ინდოეთი იხილონ ძლიერ, დამოუკიდებელ, აყვავებულ, მძლავრ სახელმწიფოდ!

ძვირფასო ამხანაგებო, ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ დღეგრძელობა ვუსურვო ჩვენს ძვირფას საპატიო სტუმარს — ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ რედის!

ვუსურვო ახალი დიდი წარმატებანი და მიღწევები დიდ ინდოეთს!

კიდევ უფრო განვითარებულიყოს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა, უფრო მეტად გამტკიცებულიყოს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მეგობრობა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის ინტერესებისათვის!

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. რედიმ.

ნ. ს. რედის სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პირველო მდივანო, თქვენო აღმატებულებავ, ბატონო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეო, თქვენო აღმატებულებავ, ბატონო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო!

ჩემი მეუღლის, ჩვენი დელეგაციის წევრთა სახელით, და პირადად მინდა მადლობა მოგახსენოთ ესოდენ სტუმართმოყვარული შეხვედრისათვის, რომელიც შესანიშნავ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გაგვიწიეს. საქართველოს, რომელიც ცივილიზაციებისა და სხვადასხვა ბუნებრივი პირობების გზაჯვარედინზე მდებარეობს, მდიდარი მემკვიდრეობა აქვს, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ინდოელი სტუმრები არ მოხიბლულიყვნენ სტუმართმოყვარე ქართველ მასპინძელთა გასაოცარი სათნოებითა და სითბოთი, გულითადობით. გამონაკლისს არც ჩვენ წარმოვადგენთ — ჩვენც ასევე მოვიხიბლეთ.

თქვენო აღმატებულებავ! ხვალ დილით ვტოვებ საბჭოთა კავშირსა და თბილისს, და გზას განვაგრძობ. ეს ვიზიტი, რომელიც ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტი იყო როგორც ინდოეთის პრეზიდენტისა, მოწმობს ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილებას კიდევ უფრო მეტად განმტკიცოს ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა. ჩემმა საუბრებმა პრეზიდენტ ბრეჟნევთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან გრომიკოსთან, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან რომანოვთან და, ამ დილანდელმა საუბარმა თქვენთან, კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ინდოეთისა და სსრ კავშირის შეხედულებები ახლოსაა ერთმანეთთან, ხოლო ინტერესები — ერთმანეთს ემთხვევა.

ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ჩვენს ქვეყნებს აერთიანებთ ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საერთო ერთგულება. და ჩვენ ამისათვის ვიღვწით, რომ მივაღწიოთ ამ მიზანს, ჩვენ,—ჩვენი გზებით.

თქვენო აღმატებულებავ! სსრ კავშირში ყოფნისას მომიხდა ლენინგრადისა და ვოლგოგრადის უკანასკნელი ომის გმირთა მემორიალების დათვალიერება. ის, ვინც ამ მემორიალებში ყოფილა, არ შეიძლება არ აღიღლოს ყოველივე ნანახმა. მაგრამ საკმარისი არ იქნებოდა მარტოოდენ ტკივილი და ტანჯვა-ვაება რომ გაგვეხსენებინა. თითოეული უნდა ეწოფებოდეს იმ სასიქადულო მებრძოლთა სწორუპოვარი გმირობის ნიმუშებს, ვინც თავი გასწირა საშობლოსა და მათთვის ესოდენ ძვირფასი საუნჯის დასაცავად. ინდოელებმა კარგად ვიცით დიდი ინდოელი ფილოსოფოსის მაჰათმა განდის მოძღვრება, იგი ახლოა ჩვენთვის. ამიტომ მუდამ გვწამდა, რომ ქვეყნად მშვიდობა უპირველესი პუცილებლობაა კაცობრიობისათვის. ლენინგრადსა და ვოლგოგრადში გამართულმა ვიზიტებმა განგვიმტკიცა რწმენა, რომ აბსოლუტურად აუცილებელია მშვიდობა იყოს დედამიწის ზურგზე. დარწმუნებული ვართ, რომ ახალი საომარი კონფლიქტი მხოლოდ დაღუპავს მოუტანს მთელ კაცობრიობას. სწორედ ამ სულისკვეთებით განვიხილეთ ჩვენ მსოფლიო მშვიდობის საკითხები საბჭოთა ხელმძღვანელებთან ერთად, და სწორედ ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული ინდოეთის მთავრობის ცდები, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო მშვიდობის დამკვიდრებასა და განმტკიცებას.

თქვენო აღმატებულებავ! მე არ ვაპირებდი გრძელი სიტყვით შეგაწყინო თქვენთვის თავი, მაგრამ საგარეჯოში ახლა გახურებული რთველია, მაგრამ მეზობლებს არც ისინი ჩამორჩნენ — 10 ტრაქტორისტს სამტრედიის, 10-ს კი ჩხოროწყუს რაიონებში აგზავნიან. ახმეტიდან 10 ტრაქტორისტი და ამდენივე მექანიზატორი ჩოხატაურის რაიონს მიაშურეს.

კახეთის მექანიზატორებს მხარი აუბეს ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა მექანიზატორებმა. გარდაბნელებს წელს შემოდგომაზე ბოსტნეულის უხვი მოსავალი აქვთ დასაბინავებელი, მაგრამ 10 მექანიზატორს (თავიანთი ტრაქტორებითურთ) ოჩამჩირისა და წალენჯიხის რაიონებში აგზავნიან.

აბაშელთა დასახმარებლად მიდის 20 მარნეულელი მექანიზატორი, აქაურ თხუთმეტ ტრაქტორისტს თავიანთი ტრაქტორებითურთ აფხაზეთში, გალის რაიონში მოუწევს სიმინდის, სოიის და სხვა პროდუქტების ყანებიდან გამოზიდვა.

კახეთისა და ქვემო ქართლის მექანიზატორები დაბეჯითებით სთხოვენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ტრაქტორები და მისაბმელები დროზე ჩაუტანონ დანიშნულების ადგილზე, რადგან ასეთ დროს ყოველ წუთსა და საათს დიდი მნიშვნელობა აქვს. იმედია, ამ თხოვნას რკინიგზელები უთუოდ დროზე გაითვალისწინებენ.

ძმა ძმისთვის...

კახეთში დიდი რთველი რომ დაიწყო, მთელი საქართველო დაირაზმა წლევანდელი უხვი მოსავლის დროზე დასაბინავებლად. მერთველთა დასახმარებლად თბილისელთა გარდა დასავლეთ საქართველოს მშრომელებიც მოვიდნენ, ვენახებიდან თავიანთი ავტომანქანებით ეზიდებოდნენ ყურძენს.

...და აი დადგა დრო, როცა დახმარება დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ მეურნეობებსაც დასჭირდათ. ამ ბოლო დღეებში აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მთელ რიგ რაიონებში კოეისპირულად წვიმდა, წყალმა დატბორა სიმინდის უხვმოსავლიანი ყანები, სოიის ნათესები, ბოსტნები და ხეხილის ბაღები. ცხადია, აქაურ მშრომელებს გაუჭირდათ ყანებიდან მოსავლის გამოტანა, რადგან წყალი და მინდვრის მოუკირწყლავი გზები ამის საშუალებას არ აძლევს.

შეიტყვეს თუ არა ეს ამბავი ზემდგომი პარტიული და საბჭოთა სამეურნეო ორგანოებისაგან, კახეთის რაიონების მშრომელები უმალ გაემზადნენ თავიანთი ძმების დასახმარებლად. მართალია, ზოგან რთველი არ დამთავრებულა, მაგრამ მესიმინდეებს გაჭირვებაში როგორ მიატოვებდნენ; თვითონ მოისაკლისეს მანქანები და დასახმარებლად გაგზავნეს მისაბმელიანი ტრაქტორები.

ჯურჯაანელებმა 40 ტრაქტორისა და ტრაქტორისტის გაგზავნა ითავეს აბაშის რაიონში. აბაშელებმა წელს სიმინდისა და სოიის უხვი მოსავალი მოიწიეს. წყალს არ გავატანთ არც ერთ ტაროსო, თქვეს გურჯაანელებმა და ძმების დასახმარებლად ნაწილი წავიდა, დანარჩენებიც მალე წავლენ. სიღნაღელებმაც აუბეს მხარი, 20 ტრაქტორისტი ტრაქტორებიანად გაგზავნეს აბაშის რაიონში, 15 კი ზუგდიდის რაიონში.

წიფელწყაროელებმა სიღნაღელებიანი პირველებმა დაამთავრეს რთველი. მერე საშემოდგომო ხვნათესვა გაარაღეს, მაგრამ 25 ტრაქტორსა და ტრაქტორისტს ხობის რაიონში გაგზავნიან სიმინდის, ხილისა და ბოსტნეულის გამოსაზიდად, ხოლო 10 ტრაქტორისტი— წყალტუბოს ზონის მეურნეობებში.

ლაგოდეხელთა 25 ტრაქტორი და ამდენივე მექანიზატორი წავა ლანჩხუთის რაიონში, თელავის რაიონიდან 25 მექანიზატორი ცხაკაიას რაიონში მიდის, ხოლო 10 — გეგეჭკორში. ყვარლიდან 5 მექანიზატორი გაემგზავრება წულუკიძის რაიონში, ხოლო 10 — მახარაძისაში.

ადმოსავლეთ საქართველოს მექანიზატორებმა დახმარების ხელი გაუწოდეს დასავლეთ საქართველოს მესიმინდეებსა და მეგოსტნეებს უხვი მოსავლის დასაბინავებლად

საგარეჯოში ახლა გახურებული რთველია, მაგრამ მეზობლებს არც ისინი ჩამორჩნენ — 10 ტრაქტორისტს სამტრედიის, 10-ს კი ჩხოროწყუს რაიონებში აგზავნიან. ახმეტიდან 10 ტრაქტორისტი და ამდენივე მექანიზატორი ჩოხატაურის რაიონს მიაშურეს.

კახეთის მექანიზატორებს მხარი აუბეს ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა მექანიზატორებმა. გარდაბნელებს წელს შემოდგომაზე ბოსტნეულის უხვი მოსავალი აქვთ დასაბინავებელი, მაგრამ 10 მექანიზატორს (თავიანთი ტრაქტორებითურთ) ოჩამჩირისა და წალენჯიხის რაიონებში აგზავნიან.

აბაშელთა დასახმარებლად მიდის 20 მარნეულელი მექანიზატორი, აქაურ თხუთმეტ ტრაქტორისტს თავიანთი ტრაქტორებითურთ აფხაზეთში, გალის რაიონში მოუწევს სიმინდის, სოიის და სხვა პროდუქტების ყანებიდან გამოზიდვა.

კახეთისა და ქვემო ქართლის მექანიზატორები დაბეჯითებით სთხოვენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ტრაქტორები და მისაბმელები დროზე ჩაუტანონ დანიშნულების ადგილზე, რადგან ასეთ დროს ყოველ წუთსა და საათს დიდი მნიშვნელობა აქვს. იმედია, ამ თხოვნას რკინიგზელები უთუოდ დროზე გაითვალისწინებენ.

სკკპ დელეგაციის გამგზავრება

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 7 ოქტომბერს მოსკოვიდან ფხენიანს გაემგზავრა სკკპ დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კორეის შრომის პარტიის VI ყრილობაში და პარტიის შექმნის 35-ე წლისთავის ზეიმში. დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ი. მანიაკინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. ა. კრიუჩკინი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაბიტონოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

7 ოქტომბერს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ს. რედი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირში, სოფიას გაემგზავრა.

ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ თბილისის აეროდრომზე, თვითმფრინავის კიბესთან ნ. ს. რედი მიაცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ბ. ხუსმანხოჯაევმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ, სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში ი. ბ. ვორონცოვმა.

ინდოეთის პრეზიდენტი გააცილეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. აბაშიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგემ ო. შ. ქაჯაიამ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა, საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრებმა გ. ი. გვეტაძემ, დ. ი. ჩხიკვიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. გ. გვერდწითელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწეებმა ვ. ტ. ალფენიძემ, ლ. ი. ჯორადვამა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ზ. გ. ახვლედიანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო საბაგენტოს დირექტორმა თ. გ. სტეფანოვმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. დ. გაბუნიამ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თ. ნ. გორდელაძემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში ი. დ. გუჯრალი. (საქინფორმი).

ინდოეთის პრეზიდენტის პატივსაცემად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 6 ოქტომბერს ვახშამი გაუმართეს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ნ. ს. რედიმ.

ვახშამზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ი. ხუსმანხოჯაევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ო. ე. ჩერქეზია, ვ. ი. ვადაჭკორია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს კომპარტიის

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ერთი ცხარე სჯა-ბაასის გაგრძელება

კაცმა რომ თქვას, იმ დღეს საავტომობილო ქარხანაში მისვლას არ ვაპირებდი, არც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დასწრება მქონდა გათვალისწინებული, მაგრამ ერთმა გარემოებამ მაიძულა გეგმა შემეცვალა. ჩვეულებისამებრ, პარტიის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შევიარე. განყოფილების გამგე თ. შაშიაშვილმა, რომელსაც, ჩანს, ძრავას საამქროს ცილინდრების ბლოკის უბანზე გამართულ პარტიული ჯგუფის კრებაზე მიღებული შთაბეჭდილებები არ გაელეპბოდა, მითხრა:

— ვერ აგიწერთ, როგორი კრიტიკის ქარცეცხლში გახვიეს საამქროსა და ქარხნის ხელმძღვანელები აქაურმა კომუნისტებმა, კარგი ხანია ასეთი გულღია და გულწრფელ საუბარს არ შევსწრებივარ... დღეს საამქროში გაიმართება პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება, და თუ დაინტერესდებით....

რაღა დამაკავებდა, თ. შაშიაშვილთან ერთად საავტომობილო ქარხანას მივაშურე.

...პარტიულ კომიტეტში ცხარე კამათი გაიმართა. საკამათო და სათქმელი ბევრი ჰქონდათ პარტიული კომიტეტის წევრებს. ჯერ კიდევ შარშან აპრილში, როგორც იტყვიან, მთელი სიგრძე-სიგანით განიხილეს საკითხი „ძრავას საამქროს პარტიულ ჯგუფებში მუშაობის სტილისა და პრაქტიკის შესახებ“. მერედა, რა გამოვიდა? თურმე ნუ იტყვით, სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ. ეს ცხადად და ნათლად აისახა ცილინდრების ბლოკის უბნის პარტიულ ჯგუფში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

პარტჯგუფორგანიზატორი თამაზ გაბუნია შესანიშნავი მუშა და პატიოსანი ადამიანია, მაგრამ ვერ გამოიჩინა პარტიული ჯგუფის ნამდვილი ორგანიზატორის უნარი და თვისებები. იგი შემრიგებლურად უყურებდა მოვლენებს, პარტიულ ჯგუფის კრებაზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, იმის შიშით, „ვაითუ რამე მოხდესო“, მიაფურჩნიდა ხოლმე. კომუნისტებს, ჯგუფის წევრებს — ოსტატ ნაუმ ციცაძეს, მღარავებს თემრო ჩიქოვანს, სოსო კირთაძეს, გოდერძი შეყლაშვილსა და ბიკენტი დარბაიძეს, გამმართველ ოთარ წიგნაძეს, მბურღავ ალექსანდრე გვალიას და სხვებს არაერთხელ უთქვამთ, რომ საამქროში მუშაკაცს ყურადღება აკლია — მისგან მხოლოდ საწარმოო დავალებათა შესრულებას მოითხოვენ, იმას კი აღარ დაგიდევენ, როგორ პირობებში უხდებათ მუშაობაო.

მაგალითად, აბანო-გასახდელები წესრიგში არ არის, ვერც სანტარიოულ-ჰიგიენური პირობებით დიაკვეხნიან, ცხელი წყლით უზრუნველყოფაზეც რა მოგახსენოთ—32 საშხაპიდან მხოლოდ ორი მოქმედებს, მოჩვენებითად აწყობენ სარემონტო სამუშაოებს — ზემდგომი ორგანოების წარმომადგენლთა ჩამოსვლისას საამქროს კედლებს თვალს ასახვევად შეღებავენ ხოლმე და მეორე დღეს ისევ სავალალო მდგომარეობაშია. საამქროს ხელმძღვანელი მუშაკები, უფროსი ვ. ჩაჩხიანი, მისი მოადგილე ბ. კიკაბიძე, ენერგეტიკოსი ი. მიქაძე, მექანიკოსი ა. გეგუჩაძე და პარტბიუროს წევრები არ მონაწილეობენ პარტიული ჯგუფის კრებების მუშაობაში. ისე კი არ აწყენდათ და აქედან უფრო შეიტყობდნენ, რომ ჩარხდანადგარის შეკეთება, მიმდინარე რემონტი, ახალი ტექნიკის ათვისება, შრომის უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა, კადრების აღზრდა შენარჩუნება თვითდინებაზეა მიშვებული. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საამქროში გაედინა 557 კაცდღე. საანგარიშო პერიოდში კი საამქროს სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები არც ერთხელ არ გამოსულან მუშამოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინაშე. არის ეგრეთ წოდებული წვრილმანი ქურდობის, სამეფიცინო გამოსაფიზიზელელში საამქროს მუშაკთა მოხვედრის ფაქტები.

რაც მთავარია, არ ხდება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მორალური და მატერიალური წახალისება, ვერა და ვერ იქნა, ვერ მოაწყვეს წარმოების მოწინავეთა და ბრიმის ვეტერანთა სტენდები, წუნის მკეთებელთა დაფები, პრაქტიკაში ვერ დანერგეს მუშათა რიგებში ახალგაზრდების საზეიმო მიღება, სამუშაო იარაღის, პირველი ხელფასის ასევე საზეიმოდ გადაცემა.

კომუნისტმა ს. გაბუნიამ ისიც კი თქვა, თუ წინათ 120-130 ბლოკს ვამზადებდი, ახლა 80-90 ბლოკის დამზადებაც მიჭირს, რადგან მუშაობა უფრო დაძაბულიაო. ხშირი შეფერხებებია ჩარხ-დანადგარების გამართვაში, ახალგაზრდა კადრები საამქროდან გარბიან...

პარტიული ჯგუფის ანგარიშგება-არჩევნებზე პარტჯგუფორგანიზატორი გადაირჩიეს. ორი დღის შემდეგ კი ცხარე კამათი უკვე პარტიული კომიტეტის სხდომაზე გაჩაღდა პარტჯგუფის კრებაზე გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. ჯერ პარტიული კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ საგულდაგულოდ შეისწავლა კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დადასტურდა. პარტიული კომიტეტი იძულებული გახდა ამჯერად მკაცრი ზომები მიეღო — საამქროს უფროსს ვ. ჩაჩხიანს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს, ხოლო საამქროს პარტიულ ორგანიზაციას რჩევა მისცეს, რომ პარტბიუროს მდივნობიდან რ. ოჩხიკიძე გადაერჩიათ. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი კომუნისტთა მიერ გამოქმული კრიტიკული შენიშვნების გამოსწორებისათვის.

საამქროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების წინ საამქროს უფროსმა ვ. ჩაჩხიანმა ზოგიერთი უბანი დაგვთვალიერებინა და კმაყოფილებით თქვა:

— საქმეში პარტიული კომიტეტის ჩარევის შემდეგ ბევრი რამ გამოსწორდა, კეთილმოეწყო საშხაპეები და გასახდელები. დაიდგა სპეციალური ბოილერები ცხელი წყლით საამქროს უზრუნველყოფისათვის, მნიშვნელოვნად ამაღლდა წარმოების კულტურა. მაგრამ რაც გაკეთდა, სრულიადაც არ არის საკმარისი. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ცილინდრების ბლოკის უბნის კომუნისტებმა თვალები აგვიხილეს, მე კი პარტიული სასჯელი დამსახურებულად მივიღე...

საამქროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება დაიწყო. მართალია, პარტბიუროს მდივნის რ. ოჩხიკიძის მოხსენებაში რამდენადმე მკრთალად აისახა საამქროში არსებული ნაკლოვანებანი, მაგრამ კამათის მონაწილე კომუნისტებმა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნამდვილი ცეცხლი დაანთეს და ბოლომდე ამხილეს პარტბიუროს საქმიანობის ცალკეული მტკივნეული მხარეები, სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში დაშვებული შეცდომები.

რა გამოავლინა ასეთმა ცხარე სჯა-ბაასმა? უწინარესად აღსანიშნავი ის, რომ, თუ საამქროს, სადაც 97 კომუნისტია, წინათ შეეფერხებელად ასრულებდა გეგმებს, წლეულს ივლისში სერიოზულად ჩამორჩა და დავალება მხოლოდ 55,2 პროცენტით შეასრულა. რა მოხდა? საქმე ის არის, რომ № 2 სამსხმელო საამქრომ ვერ გაამართლა კოოპერირებული მიწოდების პირობა, წუნიანმა პროდუქციამ 22,7 პროცენტი შეადგინა. არის სხვა მიზეზებიც, რომლებიც აფერხებენ საამქროს კარგ მაჩვენებლებს. მაგალითად, წლის 8 თვეში 102 კაცდღე უმიზეზოდ არის გაცდენილი, აღრიცხულია სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების 163 შემთხვევა, დიდი აკადრების დენადობა. იმ 89 კაციდან, რომლებმაც სწორედ საანგარიშო პერიოდში დატოვეს საამქრო, 27 საკუთარი განცხადებით არის წასული, 29 უმიზეზოდ გაცდენების გამო გაათავისუფლეს, ხოლო 14 სხვაგან გადავიდა სამუშაოდ. შრომის დისციპლინის დარღვევებისათვის 91 ავტომშენებელს გამოეცხადა საყვედური. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს შექმნილ მდგომარეობაზე.

საამქროს საქმიანობის ანალიზიდან სხვაც ბევრი მოჩანს საფიქრალ-საზრუნავი. მტლად დაბალია წარმოების კულტურა. კომუნისტმა გამმართველმა ოთარ წიგნაძემ დიდი გულისტკივილით ილაპარაკა ამის თაობაზე, რომ მოუწესრიგებელია სადამრიგებლო საქმე. ჩვენ ამ მხრივ და სხვა ბევრი კუთხითაც მხოლოდ კარგის გადმოტანა შეგვეძლო ჟოლგის საავტომობილო ქარხნის მუშაობის გამოცდილებიდან, რაზეც იუწყებოდა როგორც რესპუბლიკური, ისე ადგილობრივი პრესა, მაგრამ ყოველივე ეს რატომღაც ყურადღებიდან გამორჩათ ქარხნის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს. თავიანთ მხრივ, ისინი საამქროს ხშირი სტუმრები არ არიან, მუშაკაცის სატკივარს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ...

განსაკუთრებით კრიტიკულად ითქვა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე. პარტბიუროს მხრივ მომთხოვნელობის შესუსტების მიზეზია, რომ სათანადო დონეზე არ დგას პარტიული დისციპლინა, ზოგიერთი კომუნისტი არ მონაწილეობს პარტიული კრებების მუშაობაში, ნაკლოვანებებია კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში, ყურადღება არ ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას და სხვ.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. კურტანიძემ მართებულად მიიჩნია საამქრო პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ქარხნის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის მიმართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და აღუთქვა კომუნისტებს, წლეულს ივლისში სერიოზულად ჩამორჩა და დავალება მხოლოდ 55,2 პროცენტით შეასრულა. რა მოხდა? საქმე ის არის, რომ № 2 სამსხმელო საამქრომ ვერ გაამართლა კოოპერირებული მიწოდების პირობა, წუნიანმა პროდუქციამ 22,7 პროცენტი შეადგინა. არის სხვა მიზეზებიც, რომლებიც აფერხებენ საამქროს კარგ მაჩვენებლებს. მაგალითად, წლის 8 თვეში 102 კაცდღე უმიზეზოდ არის გაცდენილი, აღრიცხულია სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების 163 შემთხვევა, დიდი აკადრების დენადობა. იმ 89 კაციდან, რომლებმაც სწორედ საანგარიშო პერიოდში დატოვეს საამქრო, 27 საკუთარი განცხადებით არის წასული, 29 უმიზეზოდ გაცდენების გამო გაათავისუფლეს, ხოლო 14 სხვაგან გადავიდა სამუშაოდ. შრომის დისციპლინის დარღვევებისათვის 91 ავტომშენებელს გამოეცხადა საყვედური. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს შექმნილ მდგომარეობაზე.

საამქროს საქმიანობის ანალიზიდან სხვაც ბევრი მოჩანს საფიქრალ-საზრუნავი. მტლად დაბალია წარმოების კულტურა. კომუნისტმა გამმართველმა ოთარ წიგნაძემ დიდი გულისტკივილით ილაპარაკა ამის თაობაზე, რომ მოუწესრიგებელია სადამრიგებლო საქმე. ჩვენ ამ მხრივ და სხვა ბევრი კუთხითაც მხოლოდ კარგის გადმოტანა შეგვეძლო ჟოლგის საავტომობილო ქარხნის მუშაობის გამოცდილებიდან, რაზეც იუწყებოდა როგორც რესპუბლიკური, ისე ადგილობრივი პრესა, მაგრამ ყოველივე ეს რატომღაც ყურადღებიდან გამორჩათ ქარხნის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს. თავიანთ მხრივ, ისინი საამქროს ხშირი სტუმრები არ არიან, მუშაკაცის სატკივარს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ...

განსაკუთრებით კრიტიკულად ითქვა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე. პარტბიუროს მხრივ მომთხოვნელობის შესუსტების მიზეზია, რომ სათანადო დონეზე არ დგას პარტიული დისციპლინა, ზოგიერთი კომუნისტი არ მონაწილეობს პარტიული კრებების მუშაობაში, ნაკლოვანებებია კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში, ყურადღება არ ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას და სხვ.

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. კურტანიძემ მართებულად მიიჩნია საამქრო პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ქარხნის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის მიმართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და აღუთქვა კომუნისტებს, რომ პარტიული კომიტეტი ამ შენიშვნებიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანს, ყოველდღიურად იზრუნებს კომუნისტთა საქმიანი წინადადებების სწრაფი ხორცშესხმისათვის.

დ. გედენიძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

გამოთხოვება

ჯ. მ. მაშეროვის დაკრძალვა

მინსკი, 8 ოქტომბერი. (საკადრი). ბელორუსიის მშრომელები დღეს გამოეთხოვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნის პეტრე მირონის ძე მაშეროვს.

მეორე დღეა ძაძებშია მთავრობის სახლი მინსკში, სადაც ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დარბაზში დადგმულია განსვენებულის კუბო. ქალაქში დახრილია სსრ კავშირისა და ბელორუსიის სსრ სახელმწიფო დროშები.

დილადანვე, ისევე როგორც წინა დღეს, აქ მოდიოდა ათასობით ადამიანი, რათა ღრმა პატივისცემის ვალი მოეხადა საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის წინაშე, რომელმაც მთელი სიცოცხლე, ძალ-ღონე და ცოდნა, თვალსაჩინო ორგანიზატორული ნიჭი მოახმარა კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

ჟღერს სამგლოვიარო მელოდიები. მწუხარე დუმილით ჩაუარეს კუბოს რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა, პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაკებმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა, საბჭოთა არმიის მეომრებმა, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა. დარბაზში შემოაქვთ ახალ-ახალი გვირგვინები. პეტრე მირონის ძე მაშეროვის ნათელი ხსოვნის პატივსაცემად ჩამოვიდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციები, საბჭოთა კოსმონავტების ჯგუფი, ჩამოვიდა აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ზ. ზელინსკი. დგება გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. სამპატიო ყარაულში დგებიან დელეგაციათა ხელმძღვანელები, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

წყდება შესვლა დარბაზში, სადაც განსვენებულის კუბოა. განსვენებულს ეთხოვებიან ნათესავები და ახლობლები. ბელორუსიის კომპარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებს გამოაქვთ პ. მ. მაშეროვის კუბო ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე და კვარცხლბეკზე დგამენ. მოედანზე ათასობით ადამიანი შეკრებილა.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ე. პოლიაკოვმა. მან თქვა, თუ რა უდიდესი გლოვით ეთხოვებიან კომუნისტები, ბელორუსიის სსრ მშრომელები, პარტია და ხალხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს პეტრე მირონის ძე მაშეროვს.

შემდეგ გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი. უდროოდ, შემოქმედებითი ძალებით აღსავსე, თქვა მან, წავიდა ჩვენგან ქვეყნის თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, დიდი ცხოვრებისეული მიღწევების ადამიანი, ვისი გმირობაც და შრომაც აღინიშნა სამშობლოს უმაღლესი ჯილდოებით, საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებებით.

ამ დიდ მწუხარებას ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტებთან და მშრომელებთან ერთად იზიარებენ მთელი პარტია, მთელი ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტრთა საბჭოს, კომუნისტებსა და ყველა მშრომელს დიდ მწუხარებასთან დაკავშირებით.

მ. ვ. ზიმიანინმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით ღრმა სამძიმარი გამოთქვა პეტრე მირონის ძე მაშეროვის, შესანიშნავი ადამიანისა და კომუნისტის, ჩვენი პარტიის საქმისათვის აქტიური მებრძოლის გარდაცვალების გამო.

პეტრე მირონის ძე მაშეროვის მთელი შრომითი გზა, თქვა შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, მოლიანად იყო დაკავშირებული კომუნისტურ პარტიასთან, მის ტიტანურ მოღვაწეობასთან ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

იგი კომუნისტი გახდა ქარცეცხლიან 1943 წელს. პეტრე მირონის ძე მაშეროვმა პარტიის საქმის უსაზღვრო ერთგულება გვიჩვენა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში. იგი ბელორუსიაში პარტიზანული მოძრაობისა და კომუნისტური იატაკქვეშეთის ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი იყო.

პ. მ. მაშეროვი პარტიის რიგებში იზრდებოდა და იწრთობოდა როგორც ბელორუსიის ახალგაზრდობის აღიარებული მეთაური, შემდეგ კი როგორც ნიჭიერი პარტიული ხელმძღვანელი. იგი არაერთხელ იყო არჩეული პარტიის მინსკის საოლქო კომიტეტის მდივნად, ბრესტის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, 20 წელზე მეტ ხანს ნაყოფიერად მუშაობდა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ყველა უბანზე, სადაც კი მას პარტია გზავნიდა, პეტრე მირონის ძე მაშეროვი შრომობდა თავდადებულად, ძალ-ღონის დაუზოგავად, მისთვის დამახასიათებელი ინიციატივით, ენერგიითა და შეუპოვრობით.

პ. მ. მაშეროვის, როგორც პარტიული მოღვაწის შესანიშნავი თვისებები, მისი ნაყოფიერი მხრივი ნიჭი განსაკუთრებულ ძალით გამოვლინდა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე ყოფნის დროს.

მრავალი წლის მანძილზე პეტრე მირონის ძე მაშეროვს ირჩევდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით ჩვენი პარტიის ლენინურ შტაბში მუშაობის დროს იგი აქტიურად ახორციელებდა პარტიის გენერალურ ხაზს, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

პეტრე მირონის ძე მაშეროვის სახელთან დაკავშირებულია ბელორუსიის მშრომელთა დიდი წარმატებანი პარტიის მიერ დასახულ ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტაში, რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. იგი ყველგან ავლენდა მჩქეფარე შემოქმედებითს ენერგიას, ადამიანების შთაგონებისა და დარაზმვის უნარს.

ბელორუსი გლეხის შვილი პ. მ. მაშეროვი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბელორუსიის მიწასთან და ხალხთან, რითაც რესპუბლიკის მშრომელების, ყველა საბჭოთა ადამიანის დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

პეტრე მირონის ძე მაშეროვმა დიდი წვლილი შეიტანა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში, დიდ როს ხალხთან, ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხთან ბელორუსი ხალხის ძმური მეგობრობის განმტკიცებაში.

იგი ყველა საქმეში გამოირჩეოდა მაღალი პარტიული პასუხისმგებლობითა და პრინციპულობით, საქმიანობითა და თავმდაბლობით. იგი იყო დიდი პიროვნება მომხიბვლელობისა და სულიერი სითბოს ადამიანი.

დიდი გულისტკივილით ვემშვიდობებით დღეს პეტრე მირონის ძე მაშეროვს. მძიმე დანაკლისის გამო უგულწრფელეს და უღრმეს თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

პეტრე მირონის ძე მაშეროვის — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, პარტიისა და ხალხის ინტერესების, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის თავდადებული ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

სიტყვა ეძლევა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ვ. ი. ბროვიკოვს. ჩვენ ყველას მძიმე, უდიდესი უბედურება დაგვატყდა თავს, თქვა მან, ტრაგიკულმა შემთხვევამ სიცოცხლე მოუსწრაფა დიდ, ოქროსთი გონების, ნიჭის, ენერგიისა მეხიბვლელობის ადამიანს. ...[illegible] მისმა თანამოსაქმე ამხანაგებმა, ვიცით როგორ [illegible] ...[illegible] ...[illegible] ...[

ხარისხისათვის ბრძოლა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მომხსენებელმა თქვა, რომ წინა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე შეიქმნა ექვსი სექცია. ეს არის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და დაგეგმვის, მშენიდღუტრიისა და სამენ მასალათა მრეწველობის და იურიდიული სექციები. თითოეული მათგანი განიხილავდა თავისი დარგის პრობლემას, თავისებურად აყენებდა ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბოლოო შედეგის მიღწევის ამოცანებს. გადაწყდა, რომ სექციები მუდმივმოქმედი დარჩებოდნენ. და ისინი მართლაც მთელი განვლილი წლების მანძილზე მუშაობდნენ.

კონფერენციის საერთო რეკომენდაციების შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის გამო მთელი მუშაობის მართვისათვის შეიქმნა რესპუბლიკური კომისია. ამხ. კოლბინმა აღნიშნა, რომ გარკვეული ჯგუფის ადამიანებს დასჩემდათ გიეკრტიკეებინათ კომისიების შექმნა. რა საკითხიც უნდა იყოს, კომისია იქმნებაო, და იმიტომ კომისია შექმნეს, რომ კომისიების სხდომებზე სიარულს ვეღარ ავუდიგარეთო. უნდა აღინიშნოს, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, რომ ეს ფუჭი ლაპარაკია, რასაც საფუძველად უდევს მხოლოდ ზერელე შეფასება. რა არის ხარისხის კომისია? ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც თანამდებობრივი მდგომარეობით ისედაც მოვალეა მუშაობდეს ხარისხის საკითხებზე, ხოლო ერთ ჯგუფად მათი გაერთიანება საშუალებას იძლევა ეს მოვალეობანი შესრულდეს უფრო მიზანმიმართულად, არ გასწიონ ერთმანეთის დუბლირება და მხედველობიდან არ გამორჩეთ ამ მიმართულებით გადაუწყვეტელი საკითხები.

პროდუქციის ხარისხის რესპუბლიკურმა კომისიამ შეიძინა საიმედო თანაშემწეები და ასეთივე პრინციპით ხარისხის კომისიები შექმნა პარტიის ყველა საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტში, ყველა სამინისტროში, უწყებაში, საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში.

კომისიების უმრავლესობამ გაამართლა თავისი დანიშნულება. ნაყოფიერად და მიზანმიმართულად მუშაობენ ისინი პარტიის თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო კომიტეტებთან. მათ ყოველდღიურ საქმიანობას ახასიათებს მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დიდი მრავალფეროვნება. ეს არის სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის, დათვალიერება-კონკურსების, სემინარების, კონსულტაციების, ლექციათ-მოხსენებების, საუბრების, შეხვედრების, თათბირების მოწყობა ხარისხისა და ეფექტიანობის საკითხებზე და ბევრი სხვა, რაც საჭიროა საბოლოო შედეგის მიღწევისათვის. შედეგებმაც არ დააყოვნა. 1980 წლის 1 იანვრისათვის თბილისის მრეწველობამ გამოუშვა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი 919 დასახელების ნაწარმი, ანუ პროდუქციის საერთო მოცულობის 19,9 პროცენტი. მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვებამ მიაღწია 1.017 დასახელებას, ხოლო ხვედრითმა წილმა — 21,5 პროცენტს.

მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა ქუთაისის ხარისხის საქალაქო კომისიის შედეგიანი მუშაობა, რომელმაც თავისი ძირითადი ყურადღება დაუთმო პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების შემოშვებასა და დანერგვას. სწორედ საქალაქო კომისიის ინიციატივით ქალაქის 18 სამრეწველო საწარმოში დაინერგა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები და საწარმოთა დაახლოებით 200 სტანდარტი, რომლებიც არეგლამენტებს შრომისა და პროდუქციის ხარისხის მართვის ცალკეული ქვესისტემების მახედვით მუშაობას. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის რიცხვი 142-დან 248 ერთეულამდე გაიზარდა, ხოლო ასეთი პროდუქციის წილი სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში 32,5 პროცენტს შეადგენს.

იმ ღონისძიებათა შორის, რომლებსაც ხარისხის საქალაქო კომისია ახორციელებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: მისი ინიციატივით შეიქმნა „შრომისა და პროდუქციის ხარისხის მართვის“ სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებული არიან ქალაქის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციათა მდივნები. მიმდინარე წლის ივნისში უნივერსიტეტმა პირველი კურსდამთავრებულები გამოუშვა.

ბევრი რამ არის დადებითი ქალაქების, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ჭიათურის, გორის, ფოთისა და სხვა ხარისხის კომისიების საქმიანობაშიც.

ისევე, როგორც ყველა ჩვენს დიდ საქმეში, მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევაში გარკვეული როლი ეკისრებათ კადრებს, თქვა შემდეგ ამხ. კოლბინმა, მათ კომპეტენტურობაზე, საქმის ორგანიზაციის უნარზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების საკითხებში კი საჭიროა დიდი გარდაქმნაც ყველა ჩვენი კადრის მუშაობაში. ამის გათვალისწინებით ცდილობდა კიდეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აეგო თავისი მუშაობა კადრებთან. მაგალითად, 1979 წელს ყველგან მოეწყო სწავლება ეკონომიკის საკითხებში კომპეტენტურობის ამაღლებისათვის. პრაქტიკული მაგალითებით ხელმძღვანელები იძენდნენ სახსრების მომჭირნედ ხარჯვის უნარს, სწავლობდნენ მინდობილი საწარმოს საჭირო ფინანსური უზრუნველყოფისათვის გზების გამოვლენას.

1980 წლის პირველ ნახევარში დაიწყო ამ ხელმძღვანელების ატესტაცია, რომელთაგან ნაწილი ეკონომიკაში მათი ცოდნის გათვალისწინებით არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. ზოგიერთებს არსებითი შენიშვნები მიეცათ და დაუდგინეს ვადა შემდგომი ხელახალი ატესტაციისათვის მოსამზადებლად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა იმას, რომ ადამიანებს ესწავლათ პროდუქციის ხარისხის მართვის საკითხების გადაწყვეტა. ამაში დიდი როლი შეასრულა ხარისხის სახლებისა და კაბინეტების ფართო ქსელმა. კარგი სახელი დაიმკვიდრეს თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორისა და თელავის ხარისხის სახლებმა. ხარისხის სახლებისა და კაბინეტების საქმიანობის მასშტაბი წლითიწლობით ფართოვდება.

პროპაგანდის ორგანიზაციის პრაქტიკამ ცხადყო, რომ შეძენილია დიდი, მრავალფეროვანი გამოცდილება, რომელიც ეყრდნობა მეცნიერულ და თეორიულ საფუძვლებს.

პროდუქციის ხარისხის მართვის საკითხებზე კადრების მომზადებასა და სწავლებაში დიდი როლი ეკუთვნის სახსტანდარტის რესპუბლიკურ სამმართველოს. მისი აქტიური მონაწილეობით მეათე ხუთწლედის მანძილზე მომზადდა და გაიმართა დაახლოებით 40 რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და სემინარი, 6 გამოფენა, წაკითხულია დაახლოებით 5 ათასი ლექცია. სახსტანდარტის კვალიფიკაციის ამაღლების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მეშვეობით მომზადებულია 2.100 კაცი.

უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად გამოაცოცხლეს თავისი საქმიანობა რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა. გასული წლის დამდეგს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა წარმოების დამატებითი რეზერვების გამოვლენისათვის მათი ინიციატივა, შეჯიბრება დევიზით „საქმეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა თითოეული საბჭო წარმოების რეზერვების ძიების შტაბია“ წლითიწლობით იკრებს ძალებს. თუ ორი წლის წინათ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 200 საწარმოსა და ორგანიზაციაზე ოდნავ მეტი, ამჟამად მონაწილეობს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა 620 პირველადი ორგანიზაცია, რომლებსაც აქვთ წარმოების მოცულობის გადიდების გამოვლენილი რეზერვების პირადი ანგარიშები.

ჯერჯერობით უნდა შევაფასოთ ის, რომ ამ გამოცდილების გავრცელებაში, რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მუშაობის გაქტიურებაში წამყვანი როლი ეკუთვნით პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

ამხ. კოლბინი დაწვრილებით შეეხო იმ დიდ როლს, რომელსაც ასრულებენ რესპუბლიკის სახსტანდარტის სამმართველო და ახლად შექმნილი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხარისხის განყოფილება ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. მან მოაწყვეს სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვების ყოველწლიური დაგეგმვა საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით. პარალელურად დგებოდა კონკრეტული ვადების მითითებით პროდუქციის ცალკეული სახეობებისათვის სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მინიჭების გეგმა-გრაფიკები. ეფექტიანი გამოდგა რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების მიხედვით პროდუქციის ხარისხის ატესტაციის დაგეგმვა. ასეთმა მრავალმხრივმა დაგეგმვამ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს შესაძლებლობა მისცა სისტემატურად გაეანალიზებინათ გეგმების შესრულების მიმდინარეობა, ოპერატიულად გამოვლენებინათ რეზერვები და ემართათ პროცესები საბოლოო შედეგის მიღწევისათვის.

მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა სპეციალისტთა გაგზავნა ამა თუ იმ რეგიონის ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევისა და პროდუქციისათვის ხარისხის ნიშნის მისანიჭებლად რეზერვების გამოვლენისათვის. ასეთი დახმარება გაუწიეს ქალაქებს ჭიათურას, ხაშურს, ფოთს, ტყიბულს, ზესტაფონს, მახარაძესა და სხვებს.

პროდუქციის ხარისხის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის საქმეში დიდი სტიმული იყო ხარისხის რესპუბლიკური კომისიის მიერ მოწყობილი დათვალიერება-კონკურსები და სემინარ-თათბირები.

ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გაზეთების რედაქციების, ტელევიზიის რადიოს მუშაობაში შეიმჩნევა არსებითი ცვლილებანი ხარისხის საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერების მხრივ. მაგალითად, როცა 1979 წლის ივლისში გამოცხადდა პროდუქციის ხარისხის მიხედვით სამრეწველო საწარმოთა დათვალიერების რესპუბლიკური ერთთვიური, გაზეთები ცხოვლად გამოეხმაურნენ ამ მოვლენას, შემოიღეს შესაბამისი მუდმივი რუბრიკები, ამ რუბრიკებით გამოქვეყნებულ მასალებში წარმოების ხელმძღვანელები, მუშები, სამეურნეო და პარტიული მუშაკები, ჟურნალისტები აკვლენდნენ ხარისხის პრობლემის სხვადასხვა ასპექტს, თვალსაჩინოდ გვიჩვენებდნენ, თუ როგორ წყდება ამა თუ იმ კოლექტივში ეს საკითხები, რა ხარვეზებია დაშვებული, როგორ არის უზრუნველყოფილი წარმოება. ცალკეული შრომითი კოლექტივების ხარისხის ამაღლების პრობლემებზე მუშაობის გამოცდილებას დეტალურად აანალიზებდნენ და აზოგადებდნენ.

რედაქციები შეურიგებლად ებრძვიან ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის საქმეში ფორმალიზმისა და კაზიონრობის, უყაირათობისა და უპასუხისმგებლობის ყოველგვარ გამოვლინებას!

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ორგანიზატორული მუშაობის ესა და ბევრი სხვა მაგალითი მოწმობს, რომ მთავარი მეთოდი იყო დარწმუნების მეთოდი, რომელიც თითოეულს უნერგავდა იმის გრძნობას, რომ საჭიროა გააუმჯობესოს თავისი საქმიანობა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

ამხ. კოლბინმა თქვა, რომ სახსტანდარტმა შეძლო დაეყარებინა მეიდრო კონტაქტები რესპუბლიკის პროკურატურასთან, მის ორგანოებთან რაიონებსა და ქალაქებში, სახალხო კონტროლის კომიტეტთან და სახარბტრაკთან.

საქართველოს პროკურატურის ორგანოები სისტემატურად ამოწმებენ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში, სამრეწველო გაერთიანებებსა და საწარმოებში უხარისხო, არასტანდარტული და არაკომპლექსური პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას. ამასთან, ეს მუშაობა ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გააქტიურდა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ, როცა შემოქმედებითად, საქმიანად, უდმივად და მტკიცედ ხორციელდება კომპლექსური მიდგომა პროდუქციის ხარისხის მართვისადმი, შედარებით მოკლე ვადებში ხერხდება ნაწარმის ხარისხის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის მნიშვნელოვანი ამაღლება; ამჟამად, 320 სამრეწველო საწარმო უშვებს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის 2.253 დასახელების ნაწარმს.

გაიზარდა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის რიცხვი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებშიც — ახლა იგი 325-ს აღწევს. შესაბამისად გაიზარდა ამ პროდუქციის მოცულობა. 1979 წელს მან თითქმის 1,5 მილიარდ მანეთს მიაღწია, ხოლო ხვედრითი წილი 18,7 პროცენტს შეადგენდა, ეს 10-ჯერ მეტია, ვიდრე მეათე ხუთწლედის დამდეგს.

ახლა რესპუბლიკის მრეწველობა ყოველთვიურად უშვებს 130 მილიონი მანეთის ხარისხისნიშნიან პროდუქციას, ესე იგი თითქმის 50 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე მთელ 1975 წელს. მიღწეულმა წარმატებებმა რესპუბლიკას შესაძლებლობა მისცა დაეკავებინა მოწინავე პოზიციები ქვეყანაში. თუ 1978 წელს ხარისხის მაჩვენებლებით სხვა რესპუბლიკებს შორის მეშვიდე ადგილზე ვიყავით და ამასთან მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებოდით ბელორუსიას, ლატვიას, სომხეთსა და სხვა რესპუბლიკებს, გასული წლის მონაცემებით მესამე ადგილზე გადავიხალეთ და ჩამოვუვარდებით მხოლოდ ბელორუსიისა და ლატვიის სს რესპუბლიკებს. კიდევ უფრო საგრძნობი შედეგები იყო მოპოვებული ამა წლის პირველ თვეებში. რვა თვის შედეგებით მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების ხარისხისნიშნიანმა პროდუქციამ შეადგინა 21,5 პროცენტი. ეს საუკეთესო მაჩვენებელია ბელორუსიის სს რესპუბლიკის შემდეგ მთელ ჩვენს ქვეყანაში.

უკანასკნელ ხანს ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის საზარმოო-ტექნიკური დანიშნულების ისეთ მნიშვნელოვან ნაწარმს, როგორიც არის ავტომობილები, ელექტროძრავები, შესადუღი აგრეგატები, ელექტროშტამპელექრები, ელექტროკარები, ფოლადის მილები, ქიმიური ბოჭკო, მანგანუმი ფეროშენადნობები, ლითონსაჭრელი და სახეხი ჩარხები. სასახეურეოა, რომ ხარისხის ნიშანი ენიჭება ისეთ სახეობებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ათვისებას, მათი ხარისხის გაუმჯობესებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის გზით. 1980 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 750-ზე მეტი ღონისძიება განხორციელდა ამ მიმართულებით.

პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის ფართო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებასა და წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ მიმართულებით ახლა 230 ღონისძიება ინერგება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარებისათვის მტკიცე ბაზის შექმნის მიზნით გაფართოვდა კვლევითი მუშაობა მეცნიერების როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით დარგებში. დამუშავებულია 300-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი თემა. გაიშალა მუშაობა მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების მიხედვით, რომლებიც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდეს სახალხო-სამეურნეო ამოცანების შემუშავების მონაწილეა ბევრი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაცია.

მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ხალხისათვის განკუთვნილი საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. ისმება ამოცანა — მეთერთმეტე ხუთწლედში ისე წარიმართოს საქმე, რომ რაც შეიძლება მეტი ხარისხისნიშნიანი საქონელი გამოეშვათ ხალხისათვის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნაკლოვანებებია ორგანიზატორულ მუშაობაში, კერძოდ, ხარისხის რესპუბლიკური კომისიის მუშაობაშიც. ჩვენს საქმიანობაში განსაკუთრებულ უყურადღებას ვუთმობთ საბოლოო შედეგს — სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წონის ზრდას, თქვა მან. ამასთან იჩრდილება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის საკითხი, ანუ ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსური შეხამება, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას.

განიხილა რა პროდუქციის ხარისხის მართვის ტექნიკური დონის დაგეგმვის საკითხები, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროდუქციის წარმოების სტადია იწყება მისი ტექნიკური მომზადებით და მხოლოდ წარმოების ტიპობრივი ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვა არის საგეგმო დავალებათა საფუძველზე პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემური ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილი.

ჯერ კიდევ 1976 წელს რესპუბლიკაში დასაბამი მიეცა მუშაობას სტანდარტების პრინციპებზე ტიპობრივი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის. ახლა ეს სამუშაოები წამატებით ხორციელდება თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელსა“ და სხვა საწარმოებში. მაგრამ, როგორც მოხსენებაში აღინიშნა, ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი წარმოების ტექნოლოგიური მომზადების, წარმოების მომზადების პროგრესული ნორმატიულ-ტექნოლოგიური ბაზის ჩამოყალიბების ყველა პრობლემის კომპლექსურობა.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ხარისხის მეორე კატეგორიის პროდუქციის გამოშვებაზე. მეათე ხუთწლედის დამდეგს ასეთი პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობაში შეადგენდა 1,2 პროცენტს, რაც თითქმის ერთნორად აღემატებოდა საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს (0,7 პროცენტს). ხარისხის მეორე კატეგორიის პროდუქციას უშვებდნენ ზვიდი სამინისტროსა და უწყების საწარმოები.

ამ პროდუქციის გამოშვების მოცულობის შემცირებაზე უფრო ქმედითი გავლენისათვის სახსტანდარტს საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ შეისწავლა ხარისხის მეორე კატეგორიის მთელი პროდუქციის ნომენკლატურა და მოაწყო სპეციალური გამოფენა ხარისხის რესპუბლიკურ კაბინეტში. მიღებულია გადაწყვეტილება ზოგიერთი სახეობის ნაწარმის გამოშვების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, ხოლო ბევრი სახეობის ნაწარმს დაუწესდა მოდერნიზაციის, განმეორებითი ატესტაციის ვადა წარმოდგენილი პროდუქციის ხარისხის პირველ კატეგორიაში გადაყვანისათვის. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 1978 წლის დამლევისათვის ხარისხის მეორე კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა 0,3 პროცენტამდე შემცირდა. ხარისხის მეორე კატეგორიის პროდუქციის გამოშვების მოცულობის შემცირების ტენდენცია იგრძნობოდა 1979 წელსაც, როცა მისი გამოშვება 11 მილიონ მანეთამდე შემცირდა და ხვედრითი წონა 0,1 პროცენტს შეადგენდა. 1980 წლის პირველ ნახევარში ასეთი პროდუქციის გამოშვების მოცულობა მინიმუმამდეა შემცირებული.

ჩვენ უნდა გავერკვეთ არაატესტებული პროდუქციის საქმის მდგომარეობაში, აღინიშნა შემდეგ ამხ. კოლბინმა, მეათე ხუთწლედის მანძილზე მკვეთრად შემცირდა მისი ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში. თუ ხუთწლედის დამდეგს ეს მოცულობა 10 პროცენტზე მეტს შეადგენდა, 1978 წელს შემცირდა 6,6 პროცენტამდე, ხოლო 1979 წელს — 3,5 პროცენტამდე. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს არაატესტებული პროდუქციის ხვედრითი წონა არ შემცირებულა, ხოლო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით რამდენადმე მოიმატა კიდეც და შეადგინა 4 პროცენტი.

დღეისათვის მეტად საარსებოა მშენებლობაში ხარისხის პრობლემები. ამ დარგმა, როგორც ცნობილია, უდიდესი როლი უნდა შეასრულოს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში.

ქვეყანაში კაპიტალურ დაბანდებათა დიდმა მასშტაბმა, მოცულობის ყოველწლიურმა მატებამ მოითხოვა უფრო აქტიური გადასვლა სამშენებლო სამუშაოთა შესრულების პროგრესულ მეთოდებზე. ამ მიმართულებით რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობაში გარკვეული ძვრები შეიმჩნევა.

სახანო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები არაერთგზის განხილულა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიებზე, შემუშავებულა მრავალრიცხოვანი ღონისძიებანი, გამოცემულა ათობით ბრძანება. მაგრამ სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ძირითადად ყოველივე ეს ფორმალური ხასიათისა იყო, რადგან ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგებს. ხარისხის გაუმჯობესებისათვის სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობა ამიერიდან მხოლოდ საბოლოო შედეგების მიხედვით უნდა შეფასდეს.

სოფლის მეურნეობასა და იმ დარგებში, რომლებიც საწარმოო მომსახურეობას უწევენ მას, მიმდინარეობს მუშაობა საწარმოო პროდუქციის ახალი სტანდარტების შემუშავებისა და პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის. რესპუბლიკის ბევრ სამინისტროსა და უწყებაში, რომლებიც დაკავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, შექმნილია სტანდარტიზაციის სამმართველოები და განყოფილებები.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკის დამზადების სამინისტრომ ხუთ საქვეუწყებო საწარმოში დანერგა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა.

სოფლტექნიკის 13 საწარმოში დაიწყეს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავება. აქ შექმნილია საკოორდინაციო-სამუშაო ჯგუფები. 14 საწარმოში შემუშავებულია 150-მდე სტანდარტი, დანერგილია — 49, შემუშავებული და დამტკიცებულია მეთერთმეტე ხუთწლედისათვის სოფლტექნიკის საწარმოებში ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის ღონისძიებანი.

მახარაძის რაიონში შექმნილია სოფლის მეურნეობის მართვის საწარმოო გაერთიანება, რომელთანაც მოქმედებს გაერთიანების სამმართველოს საკოორდინაციო საბჭო. ამ საბჭოში შედიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნედლეულის გადამამუშავებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. რაიონმა სახსტანდარტის სტანდარტიზაციის ინსტიტუტთან დადო ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის შესახებ.

ამასთან, აღნიშნა მომხსენებელმა, საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ იყენებენ მთლიანად მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობებს, რის შედეგადაც ხილის, ბოსტნეულის, რძის, ხორცისა და სხვა პროდუქტების მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფოს აწვდიან არასტანდარტულს, ან დაბალი ხარისხისას.

მეთერთმეტე ხუთწლედსათვის ეკონომიკური განვითარების პრობლემის განსაზღვრისას, თქვა შემდეგ ამხ. კოლბინმა, წინა პლანზე კვლავ უნდა დავაყენოთ ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. საქმე ეხება იმას, რომ სასურსათო პროდუქტების გაუთვალისწინებლად უზრუნველყოთ ორ მილიარდამდე მანეთის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება, ანუ ერთნახევარჯერ გადავაჭარბოთ მეათე ხუთწლედში მიღწეულ დონეს: საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების მიხედვით — ხვედრითი წილი იყოს სულ ცოტა 50 პროცენტი, საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოების მიხედვით — სულ ცოტა 18 პროცენტი, რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის მიხედვით — სულ ცოტა 20 პროცენტი.

1990 წლისათვის დასახულია ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიანად რესპუბლიკაში გაიზარდოს 24 პროცენტამდე, რაც 1,3-ჯერ გადააჭარბებს 1985 წლისათვის დაგეგმილს.

მომავალი ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკაში უნდა გავწიოთ სერიოზული ორგანიზაციული მუშაობა მძიმე-ლეტული რესპუბლიკური ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების გადასინჯვისათვის იმ მიზნით, რომ ავამაღლოთ მათი სამეცნიერო-ტექნიკური დონე, რათა უთუოდ უზრუნველვყოთ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

საჭიროა, აღნიშნავს მომხსენებელი, გამოვძებნოთ სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივების მეცადნეობის შემდგომი კონცენტრაციისა და მათი მიზანდასახული კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფის გზები. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების შემუშავების იდეა შორს სცილდება ცალკეულ საწარმოთა ფარგლებს. კომპლექსურ-მიზნობრივი პროგრამები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის ძალზე ეფექტიანი ფორმა უნდა გახდეს, ისინი საშუალებას გვაძლევენ თავიდან ავიცილოთ წვრილთემიანობა ბევრი სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობაში, კუთხურობა და დუბლირება. მათ საფუძველზე გამოიძებნა, მაგალითად, საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და განახლების მეცნიერული პრინციპები, განისაზღვრება ნავთობის, გაზისა და სხვა სახალხო-სამეურნეო რესურსების დაზვერვა-მოპოვების ეფექტიანობის ამაღლების გზები, ამ პროგრამების ფარგლებში, სამეცნიერო-მეთოდიკურ ხელმძღვანელობასა და სამუშაოთა კოორდინაციას, ჩანს, სათავეში უნდა ჩაუდგნენ რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, დარგობრივი სამინისტროები და უწყებები სახსტანდარტის რესპუბლიკურ სამმართველოსთან მჭიდრო კონტაქტით.

მოხსენების დასასრულს ამხ. კოლბინმა აღნიშნა, რომ ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების კურსი მაგისტრალური უნდა გახდეს მეთერთმეტე ხუთწლედში.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სახსტანდარტის თავმჯდომარეს ვ. ვ. ბოიცოვს.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ დღევანდელ კონფერენციას, რომელიც მიმდინარეობს სკკპ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადებისა და მეთერთმეტე ხუთწლედისათვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების შემუშავების პერიოდში, — თქვა ამხ. ბოიცოვმა.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროდუქციის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში მიღწეული წარმატებანი შედეგია უდიდესი მიზანმიმართული მუშაობისა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები ეწევიან ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული მითითებებისა და დასკვნების შესაბამისად.

კონფერენციის დოკუმენტები საფუძვლად დაედება რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის მუშაობის პროგრამას.

ამხ. ბოიცოვი კონფერენციის მონაწილეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ პრინციპულ ცვლილებებს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დარგში, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა ქვეყანაში.

ჯერ ერთი: ძირეულად შეიცვალა დამოკიდებულება სტანდარტიზაციისადმი მართვის ყველა დონეზე. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, ადგილობრივი პარტიული ორგანოები დღეს დდე ყურადღებას უთმობენ სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის შესაძლებლობათა გამოყენებას და ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია საქართველოსათვის.

მეორე: შეიცვალა სტანდარტიზაციის დარგში მუშაობის მასშტაბი, გაფართოვდა სტანდარტების გამოყენების სფერო. დღეს სახალხო მეურნეობაში მოქმედებს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის 200 ათასზე მეტი სახელმწიფო, დარგობრივი, რესპუბლიკური სტანდარტი და ტექნიკური პირობა.

სერიოზულად განვითარდა დარგობრივი სტანდარტიზაცია და საწარმოების სტანდარტები.

მესამე: შეიცვალა თვით სტანდარტების შინაარსი. მეცხრე და მეათე ხუთწლედების მანძილზე სსრ კავშირის სამინისტროებმა, უწყებებმა და სახსტანდარტმა გადასინჯეს და განაახლეს ყველა ახალი სტანდარტი.

ამის შედეგად მეათე ხუთწლედის დამლევისათვის სახელმწიფო სტანდარტების პრაქტიკულად მთელი ფონდი განახლებული გვექნება. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის სტანდარტების სამეცნიერო-ტექნიკურ დონეს და მთლიანად უშუალო ზემოქმედებას მოახდენს მეთერთმეტე ხუთწლედში წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე.

მეოთხე: შესამჩნევად

„სარფიანი“ საქმის ბოლო

ანუ არარსებული ვაშლის დამზადება

ამ ორიოდე წლის წინათ, როცა ადგილის რაიონის სოფელ უდის, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებლად ავგუსტინე თუმანიშვილი დანიშნეს, რატომღაც არავის არ გაახსენდა მისი წარსული საქმიანობა, რის შემდეგაც ლოგიკურად დაისმებოდა კითხვა — თავს გაართმევდა თუ არა იგი ამ პასუხსაგებ საქმეს?

შინ კი ახლობლებმა უთხრეს: ავგუსტინე, შენ ხომ ერთხელ კოლმეურნეობის საწყობის გამგედ მუშაობდი და დიდძალი კარტოფილი დაგაკლდა, ამის გამო კინაღამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიგიცეს, სასჯელს თავი ძლივს დააღწიე. ახლაც რომ დაგაკლდეს ან გაგიფუჭდეს დამზადებული პროდუქტი რას ფიქრობ, თავს რიღათი უშველიო?

მაშინ მე ისეთი გაკვთილი მივიღე, ისეთი გამოცდილება შევიძინე, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებაო, — უპასუხა ახლობლებს ახალმა დამამზადებელმა.

გულში კი სულ სხვას ფიქრობდა და საკუთარ თავს ჩასძახოდა: „ახლა დამამზადებელზე სარფიანი სამუშაო სხვა არაფერია. თუ ივარგე, თუნდაც ერთ სეზონში იმდენ ფულს დაგროვებ, რომ მეცა და ჩემს თანამშრახველებსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გვეყოფა...“

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, უფრო კონკრეტულად, გასული წლის 23 მარტს, ა. თუმანიშვილმა ახალციხის რკინიგზის სადგურში ქ. სარატოვის კიროვის რაიონის სამრეწველო სავაჭრო ბაზაში გასაგზავნად დატვირთა სოფლის მოსახლეობაში დამზადებული ორი ვაგონი ვაშლი — 34.236 კილოგრამი. მაგრამ ნაცვლად ორი ვაგონისა გაფორმა ხუთი ვაგონი. ესე იგი სამი ვაგონით მეტი, ხოლო დატვირთული ვაშლის რაოდენობა საბუთებში ხელოვნურად გაზარდა და უჩვენა 75,4 ტონით მეტი.

გამოიწერა ვაშლის ხარისხის ცრუ მოწმობები და სხვა ყალბი დოკუმენტები, რომლებიც უდის კოლმეურნეობის ბუღალტერიამ (მთავარი ბუღალტერი — გ. აკოფაშვილი) სრულიად შეუმოწმებლად მიიღო და გადასცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულ გაერთიანებას (უფროსი — ს. ზაზაშვილი, მთავარი ბუღალტერი —მ. გავაშელიშვილი). არც აქ გამოიჩინეს სიფხიზლე. ყალბი დოკუმენტები ისე მიიღეს, რომ არ მოუთხოვიათ რკინიგზის ვაგონების ზედადებები, თუმცა აღნიშნული სამი ვაგონისადმი არც სავადასახდელო მოთხოვნა იყო წაყენებული.

კოლმეურნეობისა და დამზადების რაიონული გაერთიანების ბუღალტერთა მხრივ ასეთმა უკონტროლობამ თუ თვალის დახუჭვამ ხელი შეუწყო დამამზადებელ ა. თუმანიშვილის მიერ წინასწარდაგეგმილი ბოროტმოქმედება სისრულეში მოეყვანა. მან 75,4 ტონა ვაშლი ყალბად გაუფორმა სოფელ უდისა და რაიონის სხვა სოფლების მოსახლეობას და ამ ყალბად გაფორმებული ქვითრების მეტ ნაწილზე ჩამბარებლების მაგიერ თვითონ მოაწერა ხელი, ზოგზეც სხვას მოაწერინა. ამრიგად, ამ არაარსებული ვაშლის დამზადებით ანუ უსაქონლო ოპერაციით ა. თუმანიშვილმა და მისმა თანამზრახველებმა კოლმეურნეობის სალაროდან გამოიტანეს და ჩაიჯიბეს 52 ათასი მანეთი.

ვაშლის დამზადება

შესაძლოა ეს უკანონოდ ნაშოვნი ფული შერჩენოდათ კიდეც, რომ მას შემდეგ, რაც უდის კოლმეურნეობა ორად გაიყო და ახლად გამოყოფილ ლელოვნის კოლმეურნეობაში ა. თუმანიშვილს კვლავ დამამზადებლად მოუხდა მუშაობა, მას აღეკვეთა თავისი მგლური მადა. მაგრამ ნთქვამია, მგელი არ იშლის მგლობასო და მადა ჭამაში მოდისო. მგლის მადით იგი ლელოვნის კოლმეურნეობაშიც დანაშაულს დანაშაულზე სჩადიოდა. უხეშად არღვევდა მოსახლეობისაგან ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის წესებს, უპასუხისგებლობას იჩენდა დამზადებული ხილის შენახვისა და გადატვირთვისას, რის შედეგადაც მას კვლავ დიდძალი ვაშლის დანაკლისი აღმოაჩნდა.

როცა ეს დარღვევები გამოვლინდა, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის დადგენილებით ლელოვნის კოლმეურნეობის ბუღალტერიამ (მთავარი ბუღალტერი — გ. აკოფაშვილი) სრულიად შეუმოწმებლად მიიღო და გადასცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონულ გაერთიანებას (უფროსი — ს. ზაზაშვილი, მთავარი ბუღალტერი —მ. გავაშელიშვილი). არც აქ გამოიჩინეს სიფხიზლე. ყალბი დოკუმენტები ისე მიიღეს, რომ არ მოუთხოვიათ რკინიგზის ვაგონების ზედადებები, თუმცა აღნიშნული სამი ვაგონისადმი არც საგადასახდელო მოთხოვნა იყო წაყენებული.

კოლმეურნეობისა და დამზადების რაიონული გაერთიანების ბუღალტერთა მხრივ ასეთმა უკონტროლობამ თუ თვალის დახუჭვამ ხელი შეუწყო დამამზადებელ ა. თუმანიშვილის მიერ წინასწარდაგეგმილი ბოროტმოქმედება სისრულეში მოეყვანა. მან 75,4 ტონა ვაშლი ყალბად გაუფორმა სოფელ უდისა და რაიონის სხვა სოფლების მოსახლეობას და ამ ყალბად გაფორმებული ქვითრების მეტ ნაწილზე ჩამბარებლების მაგიერ თვითონ მოაწერა ხელი, ზოგზეც სხვას მოაწერინა. ამრიგად, ამ არაარსებული ვაშლის დამზადებით ანუ უსაქონლო ოპერაციით ა. თუმანიშვილმა და მისმა თანამზრახველებმა კოლმეურნეობის სალაროდან გამოიტანეს და ჩაიჯიბეს 52 ათასი მანეთი.

ბათუმი:

ხელოვნების ქრონიკა

საგასტროლოდ დანიაში

ბათუმი. (საკ. კორ.). აპარის მ. კუხიანიძის სახელობის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ე. ხაბაძე), ქართული ცეკვებითა და სიმღერებით მრავალჯერ შემოუვლიათ უცხოეთი, ამჯერად ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფი საგასტროლოდ გაემგზავრა დანიაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის კულტურის დღეებში.

ანსამბლის ქორეოგრაფიულ ჯგუფთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ვოკალური ტრიო ო. ჩიქოვანის, გ. ხაფავასა და რ. გუნიავას შემადგენლობით.

● ●

კვინტეტის წარმატება

პოლონეთიდან დაბრუნდა ვოკალური კვინტეტი „იავნანა“ (დირიჟორი გ. გრეკოვი). ანსამბლში გაერთიანებულნი არიან ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო და № 76 ტექნიკური სასწავლებლების გოგონები. რეპერტუარში აქვთ როგორც ფოლკლორული მუსიკა, ისე ქართველ და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

„იავნანამ“ თავისი ხელოვნება გააცნო ლუბლინის, კრაკოვისა და ყმოშვილის საზოგადოებრიობას, კვინტეტი გამოდიოდა ისტორიულ ტაძრებში. მსმენელს განსაკუთრებით მოეწონათ ქართული ხალხური საგალობლები.

ვენაში ნაპოვნი ხელნაწერი

ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნე ბერძნულ ენაზე დაწერილი ლიტერატურული ძეგლის „წმინდა ქრისტინეს წამების“ პირველი ქართული რედაქციის შექმნის თარიღია. ასეთი დასკვნა გამოიტანეს ქართველმა მეცნიერებმა, რომლებმაც დაამთავრეს ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ძველი ხელნაწერის გამოკვლევა.

„წმინდა ქრისტინეს წამების“ თვალსაჩინო ადგილი უკავია მსოფლიო ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში. ამ ნაწარმოების ბერძნული ორიგინალი უცნობ ავტორს გადაუტანია ოქსირინქის პაპირუსზე, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული კრებულია. ბერძნული და სომხური რედაქციების გარდა, მეცნიერთათვის ცნობილი იყო სამი ანონიმური ვარიანტი ქართულ ენაზე. მათგან ყველაზე ადრინდელი დათარიღებულია მე-10 საუკუნით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია საეკლესიო ლიტერატურის ნაწარმოებთა ხელნაწერების კრებული, რომელიც შეიცავს „წმინდა ქრისტინეს წამების“ ნაწყვეტს ქართულ ენაზე, რომელიც არ შედის არც ერთ ცნობილ რედაქციაში. ამ ნაწყვეტის მთლიანად წაკითხვა და მისი შექმნის თარიღის დადგენა დიდხანს არ ხერხდებოდა. — ტექსტი პერგამენტზე რამდენჯერმე წაუშლიათ. არ ხერხდებოდა მანამ, სანამ ბირმინგემის უნივერსიტეტის პროფესორის ჯ. ბერძოლოს მიერ ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 11 წლის წინ აღმოჩენილი ხელნაწერის ფოტოპირი არ მიიღეს. გასული საუკუნის შუახანებში ბიბლიოთეკას ხელნაწერი მიჰყიდა იერუსალიმის წმინდა ჯვრის ქართულმა მონასტერმა.

„ვენის“ ხელნაწერის შესწავლისა და ინსტიტუტის ფონდში დაცულ ხელნაწერთან შეჯერგების შემდეგ დავასკვენით: ეს ძეგლის ერთი, აქამდე უცნობი რედაქციის ორი ნაწილია,—თქვა ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილების გამგემ ლ. ქაჯაია. ხელნაწერი და ბერძნული ორიგინალი დაახლოებით ერთ დროს არის შექმნილი. ამაზე მიგვანიშნებს ტექსტის ზოგიერთი თავისებურება, რომლებიც დამახასიათებელია მაშინდელი ეპოქის ქართული ენისათვის. გამორიცხული არ არის, რომ ძეგლის ორიგინალი და ახლად აღმოჩენილი ქართული რედაქცია ერთი და იგივე უცნობი ავტორის მიერ იყოს შექმნილი.

მალე ინსტიტუტის თანამშრომლები გაემგზავრებიან ავსტრიის დედაქალაქში. დეტალურად შეისწავლიან იქ აღმოჩენილ ტექსტს.

(საქინფორმი).

● ●

ფოტოინფორმაცია

ყოველწლიურად შენდება და მშვენდება ქალაქი სამტრედია. ახალმა ცხრასართულიანმა საცხოვრებელმა სახლმა, ბაღებმა, სკვერებმა კიდევ უფრო გალამაზა რესპუბლიკის ეს კოპწია ქალაქი.

სურათზე: ახალი ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი ქალაქის ცენტრში.

ა. ჩარკვიანის ფოტო.

სპექტაკლებით ნევის ნაპირებზე

თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი საგასტროლოდ ლენინგრადში

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი საგასტროლოდ იმყოფება ლენინგრადში. ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის თეატრის კოლექტივი საგანგებოდ მოემზადა. და აი, 8 ოქტომბერს მათ ლენინგრადელებს უჩვენეს გ. ნახუცრიშვილის „კობლე“, რომლის დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. მირცხულავამ.

მრავალფეროვანია საგასტროლო რეპერტუარი. ლენინგრადელები ნახავენ ა. ჩეხოვის ერთაქტიანი კომედიების საღამოს, რომელიც სამი კომედიისაგან შედგება: „დათვი“, „ხელის თხოვნა“ და „იუბილე“ (რეჟისორი ლ. მირცხულავა), მ. შოლოხოვის „თავხედის“ (სპექტაკლი დადგა ხარკოვიდან მოწვეულმა რეჟისორმა მ. ენტინმა), ჯ. მოლიერის „სკუპენის ოინებს“ (რეჟისორი ნ. ჯანდიერი), რ. კიპლინგის „ქატა, რომელიც თავისთვის სეირნობდა“ (რეჟისორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ვოლგუსტი).

საგასტროლო რეპერტუარშია აგრეთვე ბულგარელი დრამატურგის ი. დაკოვსკის „ვნახოთ, ვინ ვის?“. სპექტაკლი დადგა სოფიის ახალგაზრდული თეატრის რეჟისორმა, ბულგარეთის დამსახურებულმა არტისტმა ლ. ტოდოროვამ.

გასტროლები 26 ოქტომბრამდე გასტანს. თბილისში დაბრუნების შემდეგ კი თეატრის მთავარი რეჟისორი ლ. მირცხულავა დაიწყებს მუშაობას ნ. დუმბაძის პიესაზე „ნუ გეშინია, დედა“, რომელიც სკკპ XXVI ყრილობას ეძღვნება.

სეზონის მეორე ნახევარში თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მაყურებელს უჩვენებს ახალ სპექტაკლს — ვ. დარასელის „კოკვიძეს“. ეს წარმოდგენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს ეძღვნება.

მ. აიდარაშვილი.

ფინალიც თბილისური იქნება

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ნ. ალექსანდრია და ი. ლიტინსკაია

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ნ. ალექსანდრიასა და მ. ლიტინსკაიას მატჩის მეთორმეტე პარტია გადადებული იყო თეთრებისათვის უკეთეს მდგომარეობაში. მაგრამ პარტიის ანალიზმა ცხადყო, რომ სწორი თამაშით შავებს პარტიის გადარჩენის დიდი შანსები ჰქონდა. ლიტინსკაიამ ვერ მიაგნო ამ გზას და თამაშის განახლებისას, 43-ე სვლაზე მეტად სერიოზული შეცდომა დაუშვა (უნდა ეთამაშა h4). ამით ისარგებლეს თეთრებმა და 44-ე სვლით შავ გვირგვინოსანს შეუქმნეს შამათის მუქარა. ლოგიკელი მოქმედებაც იძულებული გახდა ხარისხი დაებრუნებინა. სამოლოოდ თეთრებს დარჩათ ეტლი, კუ და სამი პაიკი შავების ეტლის, კუსა და ორი პაიკის წინააღმდეგ. ალექსანდრია ენდშპილს თამაშობდა უშეცდომოდ, 54-ე სვლაზე მოიგო კიდევ ერთი პაიკი და ლიტინსკაიას შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად 69-ე სვლაზე გამარჯვება იზეიმა.

თამაში ასე წარიმართა: 41... ეb2 42. კe4 h5 43. კc6 ეh8 44. ეb5 ე:b5 45. კ:b5 კd5 46. კd7 h4 47. g4 ეf8 48. f5 ef 49. gf ეgc7 50. f6 ეgb6 51. ეgh2 ეgc5 52. ეgh3 ეgd4 53. ეe7 ეge4 54. ეg:h4 ეgf4 55. ეgh5 ეh8+ 56. ეgg6 ეg8+ 57. ეgh7 ეg1 58. e6 ეgf5 59. f7 ეh1+ 60. [illegible] ეg1+ 61. ეgf8 ეa1 62. [illegible] ეg1+ 63. ეgf8 ეa1 64. კc8 ეc1 65. ეe8 ეgf6 66. ეd8 ეh1 67. ეge8 კc6+ 68. კd7 კ:d7 69. ე:d7 შავები დანებდნენ.

გუშინ, მეთორმეტე პარტიაში მეტოქეებმა გაითამაშეს ახალინდური დაცვა. მანევრულ ბრძოლაში თეთრებმა ვერ მიიღეს უპირატესობა. გაიცვალა რამდენიმე მსუბუქი ფიგურა. შავების მხედარმა დაიკავა კარგი პოზიცია და თეთრები იძულებული იყვნენ გაეცვალათ კუ მხედარში, შემდეგ ითამაშეს [illegible] მოუხედავად [illegible] ჩრჩენილი იყო მხოლოდ ლაზიერები, თითო ეტლი და მხედარი, პარტიის დასკვნითი ნაწილი ალექსანდრიამ დიდებულად წარმართა და გაიმარჯვა. ამრიგად, ალექსანდრიამ მოიგო მატჩი ანგარიშით 7:5.

აღსანიშნავია, რომ პირველად ჭადრაკის ისტორიაში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან თბილისელი მოჭადრაკეები.

ლიტინსკაია — ალექსანდრია

ახალინდური დაცვა

1. d4 ეf6 2. c4 e6 3. ეf3 b6 4. g3 კa6 5. ეbd2 კb4 6. ლc2 კb7 7. კg2 კe4 8. ლd1 კ:d2 9. კ:d2 0-0 10. 0-0 d6 11. ეc1 ეbd7 12. ლa4 c5 13. ლa3 ლc7 14. ეfd1 h6 15. ეe1 კ:g2 16. ე:g2 ეb8 17. dc bc 18. ლf3 ეc6 19. კc8 ეe5 20. ლf4 ეfd8 21. h3 a5 22. ეc2 ეg6 23. ლf3 ეe5 24. ლf4 ეg6 25. ლe3 ეe5 26. კ:e5 de 27. ე:d8 ე:d8 28. ეd2 ეd4 29. ეc2 ეd7 30. ეgh2 e4 31. ლb3 ეe5 32. ლb5 ეgh7 33. ეe3 f5 34. ეg2 ეg6 35. ლe8 ლd6 36. ლb5 f4 37. e3 fg+ 38. fg [illegible] თეთრები დანებდნენ.

ე. მელიქსეთბეგი,
საერთაშორისო არბიტრი.

დაუმარცხებლად იბრძვის

ტაშკენტში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის 48-ე ჩემპიონატი პირველი ლიგის მოჭადრაკეთა შორის.

კენჭისყრის მიხედვით მონაწილეები ასე განლაგდნენ:

1. საერთაშორისო დიდოსტატი ვ. ცეშკოვსკი (კრასნოდარი), 2. საერთაშორისო დიდოსტატი ბელიავსკი (ლვოვი), 3. საბჭოთა კავშირის დიდოსტატი ი. პლატონოვი (კიევი), 4. საერთაშორისო დიდოსტატი ო. რომანიშინი (ლვოვი), 5. საერთაშორისო დიდოსტატი გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) 6. ოსტატი ა. ივანოვი (ბორკი), 7. ოსტატი გ. აგზამოვი (ტაშკენტი), 8. საერთაშორისო დიდოსტატი ი. რახუბაევი (მოსკოვი), 9. საერთაშორისო დიდოსტატი ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), 10. ოსტატი ფ. სიდეიფ-ზადე (ბაქო), 11. საერთაშორისო დიდოსტატი ნ. რაშკოვსკი (კურგანი), 12. საერთაშორისო ოსტატი ს. დოლმატოვი (მოსკოვი), 13. მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე (თბილისი), 14. ოსტატი ვ. ეინგორნი (ოდესა), 15. საერთაშორისო დიდოსტატი უ. დორფმანი (ლვოვი), 16. საერთაშორისო დიდოსტატი გ. ტუმაკოვი (ოდესა), 17. საერთაშორისო ოსტატი ჯ. ლერნერი. (ოდესა), 18. საერთაშორისო ოსტატი ა. პანჩენკო (ჩელიაბინსკი).

მაია ჩიბურდანიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრები აგზამოვთან და რახუბაევთან, ხოლო ივანოვთან და სვეშნიკოვთან გამართული პარტიები გადადო საყაიმო მდგომარეობაში.

გუშინ გაიმართა მეხუთე ტური. ჩიბურდანიძემ შავებით 30-ე სვლაზე ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სიდეიფ-ზადესთან. ივანოვმა დაამარცხა ლერნერი, აგზამოვი დაზავდა ტუმაკოვთან, კუზმინი — ცეშკოვსკისთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

იმის გამო, რომ ბევრი პარტია დაუმთავრებელი დარჩა ლიდერთა მდგომარეობა ბუნდოვანია. ჯერჯერობით ლიდერობენ კუზმინი და ლერნერი — 2,5-2,5 ქულა ხუთიდან.

ჩიბურდანიძეს ამჟამად 1,5 ქულა აქვს.

გ. ფამილიანტი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ფეხბურთის ამბები

უმაღლესი ლიგა

დღეს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდები გამართავენ საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეშვიდე ტურის მატჩებს. ცსკა უმასპინძლებს თბილისის „დინამოს“, „არარატი“ — „ტორპედოს“, „ყაზანი“ — „სპარტაკს“, „ფახთაქორი“ — „ლოკომოტივს“, „ნეფთჩი“ — დონის როსტოვის არმიელთა გუნდს, კიევის „დინამო“ — „ჭარპატის“, „შახტიორი“ — „ზენიტს“, მინსკის „დინამო“ — მოსკოვის „დინამოს“.

საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში თბილისის „დინამო“ ცსკას 73-ჯერ შეხვდა. აქედან დინამოელებმა მოიგეს 26 შეხვედრა, ფრედ დაამთავრეს 17 მატჩი, ხოლო 30-ჯერ დამარცხდნენ. ბურთების ბალანსია 115:96 არმიელთა სასარგებლოდ.

პირველი ლიგა

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების ოცდამეთვრამეტე ტურის მატჩები. ამ ლიგაში მონაწილე საქართველოს გუნდებმა იასპარეზეს სტუმრად. ქუთაისის „ტორპედომ“ ითამაშა ჯიზაკში „ბუსტონთან“, ხოლო „გურიამ“ დუშანბეში — „პამირთან“. ეს მატჩები ქუთაისელებმა და ლანჩხუთელებმა ერთნაირი ანგარიშით (1:2) წააგეს. 38 ტურის შემდეგ გათამაშებას 50 ქულით ლიდერობს სიმფეროპოლის „ტავრია“, „გურიას“ და „ტორპედოს“ 38-38 ქულა აქვთ დაგროვილი და მეთორმეტე-მეცამეტე ადგილებს ინაწილებენ.

თამაშობს „ესბიორგი“

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩში მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქეად „ესბიორგმა“ დანიის ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა „კასტრუპთან“ ფრედ (2:2) დაამთავრა. აღსანიშნავია, რომ „ესბიორგი“ ქვეყნის ჩემპიონატის 25 ტურის შემდეგ 16 გუნდს შორის მეცხრე ადგილზეა, ხოლო „კასტრუპი“ — მეცამეტეზე. „ესბიორგს“ აქვს 9 გამარჯვება, 9 ფრე და 7 წაგება. მეტოქეთა კარში გატანილი აქვს 36, საკუთარში კი მიღებული აქვს 24 ბურთი.

სპეციალისტი გვირჩევს

ფუტკრის რძის სიკეთე

ადამიანს დიდი ხანია აინტერესებდა, თუ რატომ არის დედა ფუტკარი უფრო დიდი და მძიმე, ვიდრე მუშა ან მამალი ფუტკარი; ისინიც ხომ ჩვეულებრივი უჯრედებიდან იბადებიან, როგორც სხვები, მაგრამ დედა ფუტკარი მაინც გამოირჩევა იმით, რომ ის სკაში ერთია, შესამჩნევად დიდია და 4-5 წელიწადს ცოცხლობს, მაშინ როცა სხვა ფუტკრების სიცოცხლის ხანგრძლივობა 35-45 დღეს არ აღემატება.

ბოლო ხანებში მეცნიერებმა მრავალი დაკვირვების შედეგად დაადგინეს, რომ ფუტკრები დედა ფუტკრის უჯრედს უფრო დიდს აკეთებენ და მას განსაკუთრებულად კვებავენ. უჯრედში კვერცხი ცურავს ჟელეს მაგვარ რძისფერ სითხეში, გაუმჭვირვალეა, აქვს სპეციფიკური სუნი. მომჟავო ცხარეა. სწორედ მას უწოდებენ ფუტკრის რძეს.

მისი ქიმიური შედგენილობა ასეთია: 18 პროცენტი ცილები, 10-17 პროცენტი შაქარი, 5,5 პროცენტი ცხიმი, 1 პროცენტი მარილები, შეიცავს B_1, B_2, B_3, B_6, BC და სხვა ვიტამინებს (ყოველივე ამას ძრახლის რძე არ შეიცავს და თუ შეიცავს, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით).

ფუტკრის რძე ფრანგებს, მაგალითად, მოხუცებულობის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებად მიაჩნიათ. მათ მრავალი ცდა ჩაატარეს და არცთუ უშედეგოდ —პაციენტთა უმრავლესობას მოემატა მადა, მხნეობა, სისხლის მიმოქცევა ნორმაზე დადგა და სხვ.

ფუტკრის რძე იხმარება გულსისხლძარღვთა, კუჭნაწლავის, ტუბერკულოზის, ბრუცელოზის, ანტრიტის (უმჟობესია ფუტკრის შხამთან ერთად) დაავადებების დროს, იგი შეიცავს ბევრ აცეტილხოლინს — ნივთიერებას, რომელიც აფართოებს სისხლის ძარღვებს. ამიტომ ეფექტიანად მოქმედებს ძლიერი ჰიპერტონიის დროს, არგებულრიტს სისხლის წნევას, ნივთიერებათა ცვლას.

გარდა ამისა გამოიყენება კოსმეტიკაში. იგი კარგად მოქმედებს აგრეთვე გრიპზე. განსაკუთრებით 40-პროცენტიანი სპირტის ხსნარში შეზავებული (2 გრ. ფუტკრის რძე და 18 გრ. სპირტი). სპირტის მიმატება ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ მის ჩქარა შეწოვას, ინახება დიდხანს. გრიპის დროს ნაკმარისია ჩავიწვეთოთ ცხვირში რამდენიმე წვეთი, ანდა ენისქვეშ 20-20 წვეთი. ფუტკრის რძის პრეპარატები შეიძლება მივიღოთ პიროსის სახით ან კუნთებში შეშხაპუნებით, მაგრამ არა თაფლთან და ყვავილის მტვერთან ერთად, რადგან მის მოქმედებას კუჭის წვენი ანეიტრალებს.

ორგანიზმზე ფუტკრის რძის მოქმედება დამოკიდებულია მის დოზირებაზე. 1 კგ. სხეულის წონაზე საჭიროა 0,1-0,3 მგ. ეფექტი დამოკიდებულია ასაკზე, განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მოხუცებზე.

1979 წელს საქართველოს მეფუტკრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების მოყვარულმა მეფუტკრეებმა ჩააბარეს 50 კილოგრამამდე ფუტკრის რძე ბალტიისპირეთში, კერძოდ, რიგაში. შემდეგ გადამუშავებული და პატარა ბოთლებში დაფასოებული შეეძინენ ფი და მივაწოდეთ მოსახლეობას. რასაკვირველია, თუ მისი მიღება — გადამუშავება მოგვარდება ჩვენს რესპუბლიკაში, უფრო მეტის ჩაბარება იქნებოდა შესაძლებელი და იაფიც დაჯდებოდა.

კარგი იქნება თუ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მიაქცევს ყურადღებას ჩვენს რესპუბლიკაში ამ მეტად სასარგებლო სამკურნალო პროდუქტის ჩაბარებადგადამუშავების საქმეს.

ფუტკრის სხვა პროდუქტების (დინდგელი, მტვერი, შხამი, თაფლის სანთელი) ფართოდ გამოყენების საკითხის შესწავლა უნდა მიენდოს მედიცინის კომპეტენტურ მუშაკებს, მეცნიერ სპეციალისტებს.

შესაძლებელია და მისასალმებელი იქნება თუ რომელიმე საავადმყოფოსთან გაიხსნება რამდენიმე საწოლიანი პატარა განყოფილება ფუტკრის პროდუქტებით მკურნალობისათვის, როგორც ეს მოსკოვში, ოდესაში, ბალტიისპირეთში დანერგილი, სადაც საავადმყოფოებთან მოქმედებს ეგრეთწოდებული აპითერაპიული (ფუტკრის პროდუქტებით მკურნალობის) განყოფილება.

რ. ლოდია,
ექიმი, საქართველოს მეფუტკრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

ტელევიზია

9 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00— „ვრემია“ (მ.), 09.40 — დოკუმენტური ფილმი „ალმასის წანაწყენი“ (ფ.), 17.00 — ობიექტურიგეთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.55 — ობიექტურიეზგთათვის — ბიოლოგია (ფ.), 18.25 — მოსწავლეთათვის — „მე კომკავშირელი ვარ“, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეწვევინ მინდორზე“ (ფ.), 19.15 — „მოიმბე“ (ფ.), 19.45 — „ღელეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ცსკა—თბილისის „დინამო“ (ფ), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — სპორტული მიმოხილვა (ფ.), 23.05 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა (ფ.), 16.30 — განცხადებები, 16.35 — სტუდენტებისათვის მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 17.50 — საესტრადო კონცერტი, 18.25 — მხატვრული ფილმი „ბორგმოქმედება სასგუბრობი“.

თეატრი

9 ოქტომბერი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ივანინ გურჯი; 3. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯარში მიდის დედისერთა.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, კ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66_10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ძალისა და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მეგობრელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 481-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10304

დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი არქეოლოგიაში

„ეშერის ნაქალაქარი“ ასე ეწოდება წიგნს, რომელიც ახლახან გამოუშვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ. წიგნის ავტორია რეპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. შამბა. ეს წიგნი მრავალი წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგია, რომლებიც ავტორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

ეშერის სიძველეებით მეცნიერები, მოგზაურები და მოყვარული მხარეთმცოდნეები ჯასული საუკუნის დამდეგს დაინტერესდნენ, მაგრამ მხოლოდ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში, როცა იპოვეს მატერიალური კულტურის მთელი რიგი შესანიშნავი ძეგლები, მეცნიერთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ეშერის ნაქალაქარი.

გ. შამბას წიგნში აღწერილია ნაქალაქარის საქალაქო, საზოგადოებრივი და საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები, დახასიათებულია კულტურული ფენები, სადაც მრავლად არის ადრეანტიკური ბერძნული შავფიგურიანი და წითელფიგურიანი კერამიკის ნიმუშები, კოლხური ამფორეების, პიფოსების, კრამიტის, წყალსადენის მილების ფრაგმენტები, მონეტები, სამკაულები. ისინი განკუთვნება ქალაქური ცხოვრების ჩასახვისა და გაფურჩქვნის ეპოქას, ესე ი